



ახალი ტანათლეძე

2012 წელი, 16-22 თებერვალი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№7 (561) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

„ქართული ლუვრის“ ჯანსაღი აგვისტო

სტუმარია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, პროფესორი ბიორგი კალანდია



გვერდი 6-7

გამოვიდა

კონსტანტინე გამსახურდია – VIII ტომი
რევაზ ინანიშვილი – VI ტომი
ბრიგოლ აბაშიძე – III ტომი

სიახლე

ილია ჭავჭავაძე - ორტომეული
კლასიკური პოეზია - სამტომეული
საქართველოს ისტორიული ატლასი

მეთოდოლოგია

მათემატიკის კალაპოტთა დასახმარებლად

ჩატარებულმა სასერტიფიკაციო გამოცდებმა აჩვენა, რომ ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლებს განსაკუთრებით გაუჭირდათ ამოცანების ამოხსნა. მათ მიერ მიღებული დაბალი შეფასებები ძირითადად ამ მიზეზით იყო განპირობებული.

წინამდებარე რუბრიკაში შევეცდებით დავეხმაროთ მათ და მივაწოდოთ ტიპური საგამოცდო ამოცანების ამოხსნა მეთოდური მითითებებით. ამოცანები დალაგებულია სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისი თემატური გეგმის მიხედვით.

გვერდი 5





ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი AKHALTSIKHE STATE TEACHING UNIVERSITY

„სწავლის მსურველნი, გელთ მესხეთი!“

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სამცხე-ჯავახეთის მხარეში 1990 წელს დაარსდა. ის ერთადერთი აკრედიტებული, ლიცენზირებული, მრავალპროფილიანი სასწავლებელია. უდიდესია უნივერსიტეტის როლი სამცხე-ჯავახეთის მხარეში, რომელიც დამაკავშირებელი რგოლია სამხრეთ კავკასიის რეგიონის: საქართველოს, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების უნივერსიტეტებს შორის.



სამხრეთ საქართველო ოლითგანვე განათლებისა და კულტურის ცენტრს წარმოადგენდა, ამიტომ ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ორმაგი პასუხისმგებლობის წინაშე დგას. იგი, როგორც წარსულის სახელოვანი მემკვიდრე, სრულად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბოლონის საუნივერსიტეტო სისტემაში. ამდენად, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს უდიდესი ისტორიული მისია აკისრია. ეს მისია გამოარჩევს მას ყველა სხვა უმაღლესი სასწავლებლისაგან. გარდა აკადემიური ფუნქციისა, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრაციის პროცესშიც აქტიურად მონაწილეობს. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობა, ძირითადად, შეესაბამება რეგიონის ინტერესებს, ეფუძნება გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობის, სტუდენტზე ორიენტირებულობის, მაღალკვალიფიციურობის პრინციპს.



ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს აზიტურიენტთა მიღებას შემდეგ მიმართულებაზე:

1. ბანათლების, სონიალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

- ისტორია
- ქართული ფილოლოგია
- ინგლისური ფილოლოგია
- თურქული ფილოლოგია
- დაწყებითი განათლება

სწავლის ღირებულება 1750 ლარი



უნივერსიტეტის რექტორი, სრული პროფესორი თინა გელაშვილი

2. ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

- ფინანსები
- საბუღალტრო აღრიცხვა
- მენეჯმენტი

სწავლის ღირებულება 2250 ლარი

3. იურიდიული ფაკულტეტი

- სამართალმცოდნეობა

სწავლის ღირებულება 2250 ლარი

4. ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

- ინფორმაციული ტექნოლოგიები
- მათემატიკა
- ეკოლოგია
- აგროტექნოლოგია

სწავლის ღირებულება 1500 ლარი

უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჰყავს მაღალკვალიფიციური პროფესორა, რაც ქმნის იმის საფუძველს, რომ მომავალმა თაობამ მიიღოს სათანადო განათლება და გახდეს კონკურენტუნარიანი არა მარტო რეგიონის და ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა IV-V საფეხური

- ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება
- დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილები
- ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავება
- კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი
- კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (Autocad) ოპერატორი
- ბუღალტერი
- სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი
- გარემოს დაცვის ტექნიკოსი
- ინტერნეტტექნოლოგიები (ვებ-სპეციალისტი)

სწავლის ღირებულება 1000 ლარი

სამაგისტრო პროგრამა

- ინფორმაციული ტექნოლოგიები
- ასტრონომია
- აგრობიზნესის მენეჯმენტი
- უძრავი ქონების ადმინისტრირება
- აუდიტი
- სისხლის სამართალი
- საქართველოს ისტორია
- ქართველური ენათმეცნიერება
- ეთნოლოგია
- შეღარებითი ენათმეცნიერება
- ქართული ლიტერატურის ისტორია

სწავლის ღირებულება 2000 ლარი

ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტებს, კვალიფიციურ ცოდნასა და პროფესიონალიზმთან ერთად, საინტერესო და შინაარსიან ცხოვრებას სთავაზობს.



უნივერსიტეტში ფუნქციონირებს იმპირებული სასამართლო დარბაზი, მაღალპოლიგრაფიული დონის სტამბა, ინტერნეტგაზეთი, საკონფერენციო დარბაზი. სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში.

www.akhaltsikhe.edu.ge
Tel: 5(77) 711 582;
E-mail: contact@akhaltsikhe.edu.ge
ახალციხე, რუსთაველის ქ. №106

სიასლა!

კლასიკური პოეზია

ელვის გამომცემლობამ დაიწყო ახალი სერიის, კლასიკური პოეზიის გამოცემა. სერიის ფარგლებში იბეჭდება მსოფლიო კლასიკოს პოეტთა რჩეული ლექსები. ამ ეტაპზე გამოვიდა სამი წიგნი. პირველ წიგნში მკითხველი გაეცნობა გალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრე პუშკინისა და ტერენტი გრანელის რჩეულ ლექსებს, მეორეში - ტიციან ტაბიძის, სერგეი ესენინისა და მირზა გელოვანის ლექსებს, ხოლო მესამე წიგნი ლადო ასათიანს, ალექსანდრე ბლოკსა და პაოლო იაშვილს აერთიანებს.

ელვის გამომცემლობა შეეცადა ამით მკითხველისთვის ეჭვგეგნებინა, ქართველ და მსოფლიო კლასიკოს პოეტთა სულიერი და კულტურული ურთიერთობა, რისი დამადასტურებელიცაა ამ წიგნებში შესული ლექსები.

ორტომეულის ფასი 16 ლარი

საქართველოს ისტორიული ატლასი

ერთი ცალის ფასი 5,70 ლარი

ილია ჭავჭავაძე, ორტომეული

კლასიკური პოეზია

სამი ტომის ფასი 21 ლარი

www.elf.ge

ელვის გამომცემლობა

თემატური პლასკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძველი ანბანი
2. წელიწადის დროები: ზამთარი-ზაფხული
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. ბარბელი ცხოველები
7. ბარბელი ფრინველები
8. პრეზენტები
9. რიცხვები
10. სილ-პოსტნული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. მშენებლის ნივთები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლასკატები

მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიის წარმოდგენა
2. ბარბელი ფრინველები საქართველოში
3. ბარბელი ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძველი ხალხური საქრავები
6. ძველწარმოები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპროდუქციები და დინოზავრები
10. ნიღბები - სიცოცხლის წყარო
11. ქველი რეგიონი
12. მსოფლიოს დროები
13. ზღვის დინამიკა
14. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
15. საზოგადოებრივი წარმოდგენა
16. ძველთა მიწის ნივთები და საზოგადოებრივი ტექნიკა
17. მსოფლიოს მრავალფეროვნება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. ბიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა ბელოუზანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ ბერიშვილი
11. პოლიქარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკოვ ხუციანი
14. იონა სპანდიაშვილი
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. ვაჟა-ფშაველა
22. თეიმურაზ I
23. ვახტანგ VI
24. ბიორგი მერაბული
25. ბრიგოლ ორბელიანი
26. დავით აღმაშენებელი
27. გურამ ასათიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბაღარინები - დედა
2. ჰორაციუსის ფიცი - შაჰ-ლუი დავიდი
3. მწველთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-გაუარის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რაინი
6. მინიები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბავი - კლოდ მონე
9. უმღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. სანაქა - რენუარი
11. საპირბარე ბასილიანა, ბრან-შაბის კუნძულზე - შორს სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

საუბრაოი გიგლიაზე

პასეჟი და ეპიკრიდიან ბასვლა



რუბრიკას უძღვება მარია ტიპშივილი

მეათე სასჯელი, რომელიც უფალმა ფარაონს გაუგზავნა, თავისი შინაარსით განსხვავდებოდა პირველი ცხრისაგან. დამსახურებულმა სასჯელმა ვერ დაარწმუნა ფარაონი ჭეშმარიტი უფლის არსებობაში. პირიქით, ყოველ ჯერზე უფრო „უსასტიკედებოდა გული“ ფარაონს. დადგა უამრავი საბოლოო განაჩენისა, მაგრამ ვიდრე იგი აღსრულდებოდა, მთელი ერს მნიშვნელოვანი რიტუალი უნდა ჩაეტარებინა. რიტუალი, რომელიც განმეორდა ისრაელის ხალხს უღმერთობის გამო ჩადენილი ცოდვებისაგან, დაეხმარებოდა მათ საბოლოოდ დაეტოვებინათ წარსული წარმართი ეგვიპტელების ზეგავლენა და დაეხმარებოდა განახლებულ, ჭეშმარიტებაზე ორიენტირებული ცხოვრება, ისრაელიანთა ისტორიის ახალი ნელთდარიცხვა.

„უთხრა უფალმა მოსეს და აარონს ეგვიპტის ქვეყანაში: თვეთა დასაბამი იყოს თქვენთვის ეს თვე, პირველი თვე იყოს იგი თქვენთვის წელიწადის თვეებში. ასე უთხარით ისრაელის მთელს საზოგადოებას: ამ თვის მეათე დღეს მამის სახლზე თითოეულმა თითო კრავი ან თიკანი დაიგულოს. ერთი კრავი ან თიკანი სახლზე“ (გამ.12:1-3). საუბარია ნისანის თვეზე, რაც აქედევლთა კალენდარის მიხედვით, დაახლოებით, აპრილს აღნიშნავს და სიმბოლოა გაზაფხულის – როგორც ბუნების, სამყაროს განახლების, გამოღვივებისა და ისრაელის, როგორც ერის განახლების, რელიგიური თვალსაზრისით – ახლიდან დაბადების.

უფალი ზედმინეებით ასწავლის მოსეს, როგორ უნდა მოიქცნენ ის-

რაელიანნი ამ დამეს: „თუ კრავის შესაჭმელად მცირეა სახლი, შეუამხანაგდნენ ერთმანეთს კარის მეზობლები და სულადობის მიხედვით აიყვანონ კრავი. ვარაუდი იქონიეთ, ვის რამდენის შეჭმა შეუძლია“ (გამ.12:4). კრავი არ უნდა იყოს წყალში მოხარული ან ნახევრადშემწვარი, „იმევე დამეს შეჭამონ ცეცხლზე შემწვარი ხორცი და ხმიადი; მხარე ბალახი შეატანონ“ (გამ.12:8). ხმიადი, ანუ საფუარის გარეშე გამოცხვარი პური სისუფთავის, სინმინდის, მამამთავრების მიერ განვლილი მართალი ცხოვრების სიმბოლოა. გავისწავლოთ, ხმიადი აბრაამიცა და ლოტიც მიერთებდნენ („გაიქცა აბრაამი კარავში სარასთან და უთხრა: აბა, საჩქაროდ სამი სეა გამტკიცული ფქვილი მოზილე და ხმიადები დააცხვე“ (დაბ.18:6); (დაბ.19:3). და თუ გავითვალისწინებთ, რომ უფალი პასექის დღესასწაულის რიტუალს კარნახობს მოსეს, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აბრაამიცა და ლოტიც ერთგვარად, თავისებურად აღნიშნავდნენ პასექს. ისიც საგულისხმოა, რომ საფუარი წინა წლის მოსავლიდან მზადდება, ხოლო ეს მოსავალი ეგვიპტისთან იყო დაკავშირებული. და კიდევ, უფარი ხმიადი მწყემსების საქმელია, ხოლო ისრაელიანები სწორედ მწყემსებად ჩავიდნენ ეგვიპტეში.

პასექის ღამის ვახშმის კიდევ ერთი კომპონენტი – მხარე ბალახი, სიმბოლურად, ეგვიპტეში გადატანილი ტანჯვისა და წამების სახსოვარია.

„სალი, მამალი, ერთწლიანი უნდა იყოს კრავი ან თიკანი“ (გამ.12:5). ამ დამეს ყველაზე უცოდველი, უსუსური ცხოველი – კრავი ან თიკანი, თავის თავზე იღებს ადამიანების ცოდვებს, ეწირება მათ ბოროტებას, უგუნურებას, უღმერთობას და ჩუქნის მათ განახლებულ სიცოცხლეს.

„ამ თვის მეათეცხრეტე დღემდე შეინახონ; მერე დაკლას ისრაელის მთელმა საზოგადოებამ საღამოხანს. აიღონ მისი სისხლი და სცხონ იმ სახლის ორთავე წინთლსა და კარისთავს, სადაც შეუდგებიან ჭამას“ (გამ.12:7). სახლის კარის სისხ-

ლით მონიშვნა მეათე სასჯელს უკავშირდება. ზედმინეებით ზუსტად უნდა მოინიშნოს ისრაელიანთა სახლები, რათა მათ არ შეეხოთ უფლის რისხვა. „სისხლი გქონდეთ ნიშნად სახლებზე, სადაც ცხოვრობთ; დაინახავს სისხლს და გვერდს აგვივლით. არ მოგეკარებათ დამლუპველი სენი, როცა ეგვიპტელთა შემუსვრას დაიწყებ“ (დაბ.12:13). გადმოცემის თანახმად, სისხლით ყველა ისრაელიანის სახლის კარი მოინიშნა და აგრეთვე იმ ეგვიპტელებისა, რომლებმაც ჭეშმარიტი ღმერთი აღიარეს და ისრაელიანებს თანაუგრძობდნენ. კრავის სისხლი მათი გადარჩენის ნიშანიც იყო.

„ამგვარად ჭამეთ: ნელზე სარტყელი გერტყათ, ფეხზე გეცვათ, ჯოხი გეჭიროთ ხელში. აჩქარებით ჭამეთ. საუფლო პასექია ეს“ (გამ.12:11) – ისრაელიანები მზად უნდა იყვნენ ეგვიპტედან გასასვლელად, რადგან აღსრულების უამრავი მზადყოფნა აღნიშნავს („და, იყოს თქვენი ნელი მოსარტყული... იყავით იმ კაცთა მსგავსნი, რომელნიც მოვლიან თავიანთ ბატონს, როდის დაბრუნდება ქორნილიდანო, რათა დარეკვისთანავე გაულონ კარი“ (ლუკ.12:35-36) – აფრთხილებს იესო თავის მოსწავლეებს).

ამ დამეს ანესებს უფალი პასექის დღესასწაულს. პასექი (ებრაულად ფესახი) კრავს, გამომსყიდველ მსხვერპლს ეწოდება, რომელიც უნდა შეიჭამოს ყველა ისრაელიანის ოჯახში ყოველი წლის ნისანს, ეგვიპტედან გამოსვლის აღსანიშნავად. „სამახსოვროდ დაითქვით ეს დღე, იღესასწაულეთ იგი საუფლო დღესასწაულად თაობიდან თაობაში. სამარადისო წესად დაიდეთ ეს დღესასწაული“ (გამ.12:14). იმ დროდ მოყოლებული დღემდე, პასექის დღესასწაული, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მიმოფანტული ებრაელებისათვის, ყველაზე წმინდა საუფლო დღესასწაულია და უფლის მიერ დაწესებული წესის მიხედვით სრულდება.

გაცნო მოსემ უხუცესებს უფლის სიტყვა, ადიდეს მათ უფალი და სასწრაფოდ გაემუზნენ დავალების აღსასრულებლად. „...როგორც უბრძანა უფალმა მოსეს და აარონს, ისე აღსრულეს“ (გამ.12:28).

შუალამისას ჩამოიარა უფალმა ეგვიპტის ქალაქები და სოფლები და „...მოაკვდინა უფალმა ყოველი პირში ეგვიპტის ქვეყანაში, ტახტზე მჯდომარე ფარაონის პირშიდან დილეგში მჯდარი პატიმრის პირშიმდე და პირუტყვის ყოველი პირველმოგებული“ (გამ.12:29).

გლოვისა და შიშის ზარმა ჩამოჰკრა ეგვიპტეში, „ფეხზე დადგნენ იმ ღამით ფარაონი, მისი მორჩილები და მთელი ეგვიპტე; შეიქნა დიდი გლოვა ეგვიპტეში, რადგან არ იყო სახლი, სადაც მკვდარი არ ჰყოლოდათ“ (გამ.12:30). დამარცხდა და შეიმუსრა ეგვიპტის ყველა „ღმერთი“. მხოლოდ ფარაონი და დარჩა, როგორც სიმბოლო უკანასკნელი ღმერთისა (ფარაონი დედამიწაზე მზის უმაღლეს ღვთაებას ამონ-რას განასახიერებდა, მისი მემკვიდრე კი – ღვთაება გორს). პირმშობის მოკვდინებამ სასწრაფოდ დააჩინა ჩაავდო ფარაონი და მისი ხალხი. მაშინ კი, ველარ გაუძლო ფარაონმა ტანჯვას, დაამითვე იხმო მოსე და აარონი, „...უთხრა: ადექით და გაეცალეთ ჩემს ხალხს შენც და ისრაელიანებიც. ნადით, ემსახურეთ უფალს, როგორც ამბობდით. თქვენი ცხვარძროხაც წაიყვანეთ, ...ნადით და მეც დამოლოცეთ“ (გამ.12:31). სასწრაფოდ დატოვეს ისრაელიანებმა ეგვიპტელთა ქვეყანა. ეგვიპტელების სურვილიც ასეთი გახლდათ, „...რადგან ფიქრობდნენ, ამოწყდებოდათ ყველანი“ (გამ.12:33).

„დაიძრნენ ისრაელიანები რამესიდან სუქოთისკენ – ბავშვებს გასდა ექვსასი ათასამდე ქვეითი კაცი“ (გამ.12:37). ისრაელიანელთა საერთო რაოდენობა დაახლოებით ორ მილიონზე მატ ადამიანს შეადგენდა. „თან გაჰყვა მათ უამრავი ჭრელი ხალხი, ცხვარძროხა, ურიცხვი საქონელი“ (გამ.12:38). გადმოცემის თანახმად, აქ იყვნენ სხვა რჯულის მონები და ეგვიპტელი მორწმუნეები, ქურუმები და დიდგვაროვნები. ყველა, ვინც ჭეშ-

მარტი ღმერთი იწამა, უფალს მიენდო და ისრაელიანებს გამოჰყვა.

ეგვიპტიდან გამოსვლით ზუსტად აღსრულდა უფლის მიერ აბრაამისთვის მიცემული პირობა – „უთხრა უფალმა აბრაამს: იცოდე, მდგმურად იქნება შენი შთამომავლობა სხვის ქვეყანაში; დამორჩილებული და დაჩაგრული ეყოლებათ ოთხას წელს. იმ ხალხს კი, ვისი მორჩილიც შეიქნებიან, მე განესჯი; შემდგომ ამისა დიდძალი ქონებით გამოვლენ უკან“ (დაბ.15:13-14). მართლაც, მათი ჩაგვრა ეგვიპტეში ოთხას ოცდაათ წელს გრძელდებოდა. მიუხედავად ისრაელიანთა დამორჩილებული მდგომარეობისა, ისინი ეგვიპტიდან გამარჯვებულნი გამოვიდნენ.

„როცა გაუშვა ფარაონმა ხალხი, არ წაუყვანია იგი უფალს ფილისტიმელთა ქვეყნის გზით, თუმცა მოკლე იყო ეს გზა. რადგან იფიქრა ღმერთმა, სინაიულს არ შეეპყრო ხალხი ომის დანახვისას და ეგვიპტეში არ დაბრუნებულიყო. შემოატარა ღმერთმა ხალხი უდაბნოს გავლით მენამული ზღვისკენ; და რაზემუნი ამოვიდნენ ისრაელიანები ეგვიპტიდან“ (გამ.13:17-18). როდესაც ადამიანი უფლის დახმარებით ტოვებს ბნელეთს, ანუ სიმბოლურ ეგვიპტეს, მას არ ძალუძს მძიმე განსაძვლის გამკლავება, რადგან ჯერ კიდევ სუსტია თავის რწმენაში და უფლის მფარველობას საჭიროებს. ამიტომაც აარიდა უფალმა თავისი ხალხი ბოროტ ძალებს და შემოვლითი გზით წაიყვანა.

ერთი მეტად მნიშვნელოვანი ანდერძი უნდა შეესრულებინა მოსეს – პირობა, რომელიც სიკვდილის წინ იოსებმა ჩამოართვა ისრაელიანებს – „თან წამოიღო მოსემ იოსების ძვლები, რადგან ფიცით ჰყავდა დაფიცებული იოსების წარმომადგენლები: როცა ღმერთი მოგხედავთ, წაიყოლებოთ აქედან ჩემი ძვლები“ (გამ.13:19).

დაიძრნენ სუქოთიდან და დაიბანაკეს ისრაელიანებმა უდაბნოს ბოლოს, ეთამში. „წინ მიუძლოდა მათ უფალი, დღისით ღრუბლის სვეტში გზის საჩვენებლად, ღამით ცეცხლის სვეტში გზის გასანათებლად...“ (გამ.13:21).

ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 13 თებერვლიდან 23 მარტის ჩათვლით, მასწავლებელთა სასაერთოფიკაციო გამოცდებისთვის რეგისტრაციას აცხადებს. გამოცდებზე დარეგისტრირება ყველა საგნის პედაგოგს შეუძლია.

ნელს პირველად, სპორტის, მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებს შესაძლებლობა მიეცათ, სასერტიფიკაციო გამოცდა არა მხოლოდ უნარებში, არამედ საგნობრივ ნაწილშიც ჩააბარონ. ეს თეტიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებისთვის საგნობრივი საგამოცდო პროგრამების მომზადებაზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტებთან ერთად, ხელოვნებისა და სპორტის დარგების წარმომადგენლებმა იმუშავეს. 2012 წელს, პირველად, საბუნებისმეტყველო საგნების სერტიფიცირებული პედაგოგებიც ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ექსპერტიზულ ნაწილში ჩააბარებენ გამოცდას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2012 წელს, სასერტიფიკაციო გამოცდებზე გასასვლელად, ერთწლიანი სტაჟი სავალდებულო აღარ არის. დარეგისტრირება შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელსაც უმაღლესი განათლების დამატებითი სასწავლებელი დიპლომი აქვს.

სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამსვლელებმა რეგისტრაცია გამოცდების ეროვნული ცენტრის (www.naec.ge; online.naec.ge) ვებგვერდზე ელექტრონულად, Online რეჟიმში უნდა გაიარონ. შემდეგ ეტაპზე, მათ ელექტრონულ რეგისტრაციაში მითითებულ რესურსცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა წარადგინონ, რის შემდეგაც მასწავლებლების საბოლოო დარეგისტრირება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მოხდება.

პედაგოგთა სერტიფიცირება განათლების რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. სასერტიფიკაციო გამოცდები პედაგოგს საშუალებას აძლევს დაადასტუროს, რომ სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებს ფლობს. სერტიფიცირებული მასწავლებლის დანამატი ხელფასზე 75 ლარია. დამატებით, ინგლისურისა და კომპიუტერის ინტეგრირებული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში – 200 ლარი. საუკეთესო 25%-ში მოხვედრილი პედაგოგის ხელფასი 1000 ლარი გახდება, მენტორ-მასწავლებელი 180-ლარიან დანამატს მიიღებს. ხოლო პედაგოგებს, რომლებიც საბუნებისმეტყველო საგნებში ლაბორატორიულ გამოცდას ჩააბარებენ, ხელფასი კიდევ 75 ლარით გაეზრდება. სერტიფიცირებულ მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ მენტორ-მასწავლებლად იმუშაონ და სამინისტროს მიერ ინიცირებულ სხვადასხვა პროგრამებში ჩაერთონ, რაც ასევე დამატებით ანაზღაურებას გულისხმობს.

სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მასწავლებელთა მომზადების მიზნით, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულია სერტიფიცირებისთვის საჭირო ლიტერატურა, რომელიც ყველა პედაგოგისთვის ხელმისაწვდომია. სისტემატურად იმართება საინფორმაციო შეხვედრებიც, სადაც პედაგოგთა მოსაზრებების შესწავლა ხდება. პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაშაბდებლად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, საქართველოს ყველა რეგიონში, ტრენინგები ტარდება როგორც პროფესიულ უნარებში, ასევე საგნობრივ ნაწილში.

მასწავლებელთა სასაერთოფიკაციო გამოცდა 2014 წლამდე ნებაყოფლობითი. ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში, პედაგოგს განუხრებით გამოცდაზე გასვლის რამდენიმე შესაძლებლობა ექვია.

გამოცდების მართვლის ცენტრი 2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე თითოეული საგამოცდო საგნის მაქსიმალური ქულა და გამოცდის ხანგრძლივობა

საგანი/გამოცდა	მაქსიმალური ქულა	გამოცდის ხანგრძლივობა
ქართული ენა და ლიტერატურა	80	4 საათი
ზოგადი უნარები	80	3 საათი
უცხოური ენები	100	2 საათი და 15 წუთი
მათემატიკა	59	3 საათი და 30 წუთი
ისტორია	80	2 საათი და 30 წუთი
გეოგრაფია	70	3 საათი
ფიზიკა	75	3 საათი და 30 წუთი
ბიოლოგია	75	3 საათი
ქიმია	75	3 საათი და 30 წუთი
ლიტერატურა	80	4 საათი
სტუდენტური უნარები	42	2 საათი და 20 წუთი
აფხაზური ენა და ლიტერატურა	40	4 საათი

2012 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდაზე ტესტის თითოეული ნაწილის მაქსიმალური ქულა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი


ტესტის ნაწილი	მაქსიმალური ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახულია
წაკითხვის გააზრება	21	6.4
ანალიტიკური წერა	24	7.3
ლოგიკური მსჯელობა	17	5.2
რაოდენობრივი მსჯელობა	20	5.1

მათემატიკის კვლევითი დასახმარებლად კლანიმეტირის ამოცანების ამოხსნა

მეორეხარისხიანი მასწავლებლები, ვაგრძელებთ იმ ამოცანებისა და სავარჯიშოების განხილვას, რომელიც ეფუძნება საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს მათემატიკაში.

ამოცანა 1.


ვაჩვენოთ, რომ ნებისმიერ სამკუთხედში, რომლის გვერდებია a, b, c, ხოლო m_c არის c გვერდისადმი გადებული მედიანა, სამართლიანია შემდეგი ორმაგი უტოლობა (a+b-c)/2 < m_c < (a+b)/2



ამოხსნა:

ვთქვათ, D არის AB გვერდის შუაწერტილი, მაშინ CD+AD > CA, BD+CD > BC, ამიტომ 2CD+BA > CA+BC რაც იმას ნიშნავს, რომ (a+b-c)/2 < m_c


ახლა ვაჩვენოთ m_c < (a+b)/2 უტოლობის სამართლიანობა.



ვთქვათ, E წერტილი C წერტილის სიმეტრიული წერტილია D წერტილის მიმართ, მაშინ CD=DE და BE=CA, 2m_c=CE < CB+BD=CB+CA, რაც იმას ნიშნავს, რომ m_c < (a+b)/2.

ამოცანა 2.

ვაჩვენოთ, რომ ნებისმიერ სამკუთხედში მედიანების ჯამი მეტია პერიმეტრის 3/4-ზე და ნაკლებია პერიმეტრზე. 3/4 P < m_a+m_b+m_c < P



ამოხსნა:

ზემოთ დამტკიცებული ამოცანიდან ვიცით, რომ m_c < (a+b)/2, m_a < (c+b)/2, m_b < (a+c)/2.

თუ შევკრებთ ამ უტოლობათა მარცხენა და მარჯვენა მხარეებს, მივიღებთ m_a+m_b+m_c < P.

ახლა ვაჩვენოთ m_a+m_b+m_c > 3/4 P უტოლობა. ვთქვათ, O წერტილი არის მედიანების გადაკვეთის წერტილი, მაშინ BO+OA > BA, CO+BO > BC, AO+OC > BA. შევკრიბოთ ეს უტოლობები:


2BO+2OA+2OC > AB+BC+CA

თუ გავითვალისწინებთ, რომ BO=2/3 m_b, AO=2/3 m_a, CO=2/3 m_c, მივიღებთ

4/3 m_a+4/3 m_b+4/3 m_c > P => m_a+m_b+m_c > 3/4 P

ამოცანა 3.

ვთქვათ, მოცემულია ერთეულოვანი წრეწირი და სიბრტყის ნებისმიერი n წერტილი: A_1, A_2, ..., A_n. ვაჩვენოთ, რომ წრეწირზე მოიძებნება ისეთი M წერტილი, რომ MA_1+MA_2+...+MA_n >= n



ამოხსნა:

ვთქვათ, B და C წრეწირის დიამეტრალურად მოპირდაპირე წერტილებია, მაშინ BA_k+CA_k >= BC=2.


დავწეროთ ეს უტოლობა ნებისმიერი k=1,2,...,n რიცხვისათვის, მივიღებთ:

(BA_1+BA_2+...+BA_n)+(CA_1+CA_2+...+CA_n) >= 2n, ამიტომ ამ

ორი ჯამიდან ერთ-ერთი იქნება n-ზე მეტი. თუ (BA_1+BA_2+...+BA_n) >= n, მაშინ საძიებელი M წერტილი იქნება B, ხოლო თუ (CA_1+CA_2+...+CA_n) >= n, მაშინ საძიებელი M წერტილი იქნება C.

ამოცანა 4.

ვთქვათ, ამოზნექილი მრავალკუთხედის შიგნით მდებარეობს მეორე მრავალკუთხედი. ვაჩვენოთ, რომ გარე მრავალკუთხედის პერიმეტრი მეტია შიგნით მდებარე მრავალკუთხედის პერიმეტრზე.




ამოხსნა:

აღვნიშნოთ P_1-ით გარე მრავალკუთხედის პერიმეტრი, ხოლო P_2-ით შიგა მრავალკუთხედის პერიმეტრი. შიგნით მდებარე მრავალკუთხედის გვერდებზე ავაგოთ ნახევარწილები ისე, რომ მათი პარალელური ნახევარწილები მართობული იყოს ამ მრავალკუთხედის გვერდების.

P-ით აღვნიშნოთ გარე მრავალკუთხედის პერიმეტრის ის ნაწილი, რომელიც მოთავსებულია ამ ნახევარწილებში. მაშინ შიგა მრავალკუთხედის P_2 პერიმეტრი არ აღემატება P-ს, ანუ P_2 <= P, ამავე დროს P < P_1 => P_2 < P_1

ამოცანა 5.

ABC სამკუთხედის შიგნით აღებულია O წერტილი. ვაჩვენოთ, რომ P/2 < AO+BO+CO < P, სადა P = ΔABC-ს პერიმეტრია.




ამოხსნა:

რადგან AO+OB > AB, BO+OC > BC და CO+OA > AC, ამიტომ AO+BO+CO > (AB+BC+CA)/2. ΔABC სამკუთხედი მთლიანად შეიცავს ΔABO-ს, მაშინ AB+BO+OA < AB+BC+CA (იხილეთ მე-4 ამოცანა). ე.ი. BO+OA < BC+CA. ანალოგიურად ABC მოიცავს ΔBOC და ΔAOC-საც, ამიტომ AO+OC < AB+BC და CO+OB < CA+AB. შევკრიბოთ ეს უტოლობები და მივიღებთ AO+BO+CO < AB+BC+CA.

ამოცანა 6.

ვთქვათ, ABCD ტრაპეციის AD ფუძეზე მოიძებნება ისეთი E წერტილი, რომ ABE, BCE და CDE სამკუთხედების პერიმეტრები ტოლია. ვაჩვენოთ, რომ ამ შემთხვევაში BC=AD/2.



ამოხსნა:

დამტკიცებისთვის საკმარისია, რომ ვაჩვენოთ ABCE და BCDE პარალელოგრამებია. ΔABC შევავსოთ ABEF პარალელოგრამამდე. მაშინ P_BFE=P_ABE, ამიტომ P_BFE=P_BCE => F=C. სხვა შემთხვევაში ერთ-ერთი BCE და BFE სამკუთხედებიდან აღმოჩნდებოდა მეორე მათგანის შიგნით და მათი პერიმეტრები ტოლი არ იქნებოდა. ამით ვაჩვენეთ, რომ ABCE პარალელოგრამია. ანალოგიურად შეიძლება ვაჩვენოთ, რომ BCDE პარალელოგრამია, ამიტომ AD=2BC.

ამოცანა 7.

ვაჩვენოთ, რომ a, b და c რიცხვები რომელიც სამკუთხედის გვერდებია მხოლოდ მაშინ, როცა a=y+z, b=x+z, c=x+y სადა x, y, z დადებითი რიცხვებია.

ამოხსნა:

თუ ამოვხსნით x+y=c, x+z=b და y+z=a განტოლებებით შედგენილ სისტემებს, მივიღებთ x=(b+c-a)/2, y=(a+c-b)/2, z=(a+b-c)/2 a, b და c გვერდებისთვის სამკუთხედის უტოლობებს: ახლა, თუ გავიხსენებთ, რომ x>0, y>0, და z>0, მივიღებთ a, b და c გვერდებისთვის სამკუთხედის უტოლობებს: b+c-a>0 => b+c>a, a+c-b>0 => a+c>b და a+b-c>0 => a+b>c.


ამოცანა 8.

ვთქვათ a, b და c ნებისმიერი სამკუთხედის გვერდებია. დავამტკიცოთ, რომ a^2+b^2+c^2 > 2(ab+bc+ca).

ამოხსნა: სამკუთხედის უტოლობის თანახმად a^2 > (b-c)^2 = b^2 - 2bc + c^2, b^2 > a^2 - 2ac + c^2 და c^2 > a^2 - 2ab + b^2. ამ უტოლობის შეკრებით მივიღებთ a^2+b^2+c^2 > 2(ab+bc+ca).

ამოცანა 9.

ვთქვათ, ABCD ამოზნექილი ოთხკუთხედი. ვაჩვენოთ, რომ AB+CD < AC+BD.



ამოხსნა:


ვთქვათ, O წერტილი ABCD ოთხკუთხედის დიაგონალების გადაკვეთის წერტილია, მაშინ AC+BD = (AO+OC)+(BO+OD) = (AO+OB)+(CO+OD) > AB+CD.

ამოცანა 10.

ამოზნექილი ოთხკუთხედი მდებარეობს მეორე ამოზნექილი ოთხკუთხედის შიგნით. შეიძლება თუ არა გარე ოთხკუთხედის დიაგონალების სიგრძეების ჯამი 2-ჯერ ნაკლები იყოს შიგა ოთხკუთხედის დიაგონალების ჯამზე? 1.99-ჯერ ნაკლები?

ამოხსნა:

თავდაპირველად ვაჩვენოთ, რომ თუ ABCD ამოზნექილი ოთხკუთხედის პერიმეტრი არის P, ხოლო დიაგონალების სიგრძეები d_1 და d_2, მაშინ P/2 < d_1+d_2 < P.




ცხადია, რომ AC < AB+BC და AC < AD+CD, ამიტომ აქედან კი AC < P/2. ანალოგიურად, BD < P/2. ბოლო ორი უტოლობის შეკრებით მივიღებთ AC+BD < P, მეორე მხრივ, AB+CD < AC+BD და BC+AD < AC+BD (იხილეთ ამოცანა 9). უტოლობებიდან გამომდინარეობს P < 2(AC+BD), ანუ დამტკიცდა, რომ P/2 < d_1+d_2 < P.

ახლა ვთქვათ, P გარე ოთხკუთხედის პერიმეტრია, P' შიგა ოთხკუთხედის, d - გარე ოთხკუთხედის დიაგონალების ჯამი, ხოლო d' შიგა ოთხკუთხედის. ზემოთ დამტკიცებულის თანახმად d > P/2, მაგრამ რადგან P' < P (იხილეთ ამოცანა 4), ამიტომ d' < P' < 2d, აქედან d' < 2d.

ჩვენ ვაჩვენეთ, რომ გარე ოთხკუთხედის დიაგონალების ჯამი არ შეიძლება იყოს შიგა ოთხკუთხედის დიაგონალების ჯამზე ორჯერ ნაკლები (d ≠ d'/2), მაგრამ 1.99-ჯერ ნაკლები თურმე შეიძლება.

ავაგოთ ასეთი ოთხკუთხედები. ავიღოთ მონაკვეთები, რომლის სიგრძე 1 ერთეულია. ამ მონაკვეთის ერთ ბოლოში მოვათავსოთ ერთ-ერთი წვერო, ხოლო დანარჩენი სამი - მეორე ბოლოს, რაც შეიძლება ახლოს. ასეთი ოთხკუთხედის დიაგონალების სიგრძეთა ჯამი უახლოვდება 1-ს.



მიღებული ოთხკუთხედის შიგნით ჩავსვათ ოთხკუთხედი, რომლის ორი წვერო მონაკვეთის ერთ ბოლოსთანაა, ხოლო დანარჩენი ორი - მეორე ბოლოსთან. ასეთი ოთხკუთხედის დიაგონალების ჯამი უახლოვდება 2-ს.

მაია თევდორაშვილი

აკადემიკოს ილია ვეჯუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური 42-ე საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

„ქართული ლუვრის“ ჯანსაღი აგვისტო



– რისი მფლობელია მუზეუმი? – ძირითადი ფონდები, რომელიც დაცულია „ხელოვნების სასახლეში“...

ჩვენი მუზეუმი გახლავთ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი. თავად ეს სახელი მეტყველებს იმაზე, რომ მუზეუმი საკმაოდ მრავალმომცველია – ბევრ კოლექციას მოიცავს. ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამიერკავკასიაში ამ პროფილის მუზეუმი ერთადერთია. აქ არა მხოლოდ ქართული კინო, თეატრალური, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების ამსახველი მასალებია, არამედ აზერბაიჯანის, სომხეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებისაც. აქედან გამომდინარე, კავკასიაში ეს მუზეუმი ცენტრია მათთვის, ვინც ხელოვნებით დაინტერესდება. კავკასიურ მასშტაბებს რომ თავი დავანებოთ, მუზეუმში წარმოდგენილია თვითონ ქართული ხელოვნება – თეატრალური, მუსიკალური თუ ქორეოგრაფიული – ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მომხიბვლელი – ფაქტობრივად, ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურის ისტორია. აქედან გამომდინარე, კოლექციების სიმდიდრით, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მუზეუმი მსოფლიოს წამყვან მუზეუმებს უტოლდება.

რაც შეეხება შენობას, ის თბილისში ერთ-ერთი ყველაზე მომხიბვლელია. გადმოცემის მიხედვით, გრაფ ოლდენბურგმა, აგრაფინა ჯაფარიძე-დადიანის სიყვარულის უკვდავსაყოფად, 1895 წელს ააშენა. შენობა სიყვარულის საოცარი ისტორიით და არქიტექტურული იერ-სახით თბილისში უპრეცედენტოა – ისლამური გოთიკა, ანუ მასში გაერთიანებულია აღმოსავლური და დასავლური არქიტექტურის ტრადიციები, ასევე, ქართული არქიტექტურის ელემენტები და საბოლოო ჯამში, შეიძლება ასე ითქვას – ძალიან ლამაზი კონგლომერატი.

მუზეუმი მოიცავს რამდენიმე საკმაოდ მნიშვნელოვან ფონდს – ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა, რომლებშიც 36 ათასზე მეტი ხელნაწერია. ყველაზე ძველი ხელნაწერი დოკუმენტი მეოთხრეკე საუკუნიდან იწყება, ეს არის მინიატურების კოლექცია; მუსიკალური ხელოვნებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია XV-XVI საუკუნეებში პერგამენტზე შესრულებული მუსიკალური დოკუმენტები (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ – ნოტების შექმნის პროცესი, ანუ როცა კაცობრიობა ნელ-ნელა ნეგემბიდან ნოტებზე გადადიოდა). გარდა ამისა, აქ ინახება პირადი არქივები, მაგალითისთვის შემიძლია დავისახელოთ: ნატო ვაჩნაძის, სესილია თაყაიშვილის, ნიკოლოზ შენგელაიას, ნინო და ილიკო სუხიშვილების, ზაქარია ფალიაშვილისა და უამრავი სხვ. მნიშვნელოვანია სახვითი ხელოვნების ფონდი, რომელიც სახვითი ხელოვნების იმ ნიმუშებს მოიცავს, რომლებიც ქართული თეატრალური და კინო ხელოვნებას ასახული. თქვენ იცით, რომ ყველა თეატრალური თუ ქორეოგრაფიული დადგმა წინ უძღვის ესკიზების შექმნას და ამ ესკიზებს ქმნიდნენ ისეთი ცნობილი მხატვრები როგორებიც იყვნენ: ლალო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, პეტრე ოცხელი, ირაკლი გამრეკელი თუ სხვები. ფონდში 8000-მდე უნიკალური ტილოა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, ამ კულტურის შესწავლა და პოპულარიზება ჩვენი არქივების გარეშე შეუძლებელია.

თბილისში, კარგარაქობის ქუჩაზე მდებარე „სიყვარულის სასახლეში“ მოწვევებზე ამ გოგონა დროს აბტირად ალაპარაკდნენ – აქ თურმე ღამეღამეობით ძალის ღანღს ხედავდნენ და მისი მომხიბვლელი კისკისი ესმოდათ... რაც, გუნებრივია, ისედაც მომხიბვლელ შენობას კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის. თუმცა, სასახლისადმი გააქტიურებული ინტერესი, რასაკვირვებელია, მხოლოდ მოწვევებს არ უკავშირდება. გოგონა რამდენიმე წელია, „ხელოვნების სასახლეში“ საზოგადოებას არაერთი გამოფენითა თუ პროექტით შეახსენა თავი. „სიყვარულის სასახლე“ 1895 წელს პრინც ოლდენბურგს ქართველი სატროსტოვის, აგრავინა ჯაფარიძისთვის სიყვარულის უკვდავსაყოფად აუშენებია. აქ, გასულ საუკუნეში, 1927 წელს, დავით არსენიშვილის მიერ დაარსებულია „ხელოვნების სასახლე“ დაიწყო პირა. თბილისში შემომრჩენილი ერთადერთი ისლამური მოთიკის შენობა განადგურების პირაზე იყო მისული. ამ უნიკალური არქიტექტურისა და ისტორიის მქონე შენობის რესტავრაცია, კულტურის სამინისტროსა და მერიის თანადგომით, 2009 წლიდან, დაიწყო და მუზეუმი სრულ განადგურებას გადაარჩა.

მესამე და საკმაოდ მნიშვნელოვანი ფონდია მემორიალური და ხელოვნების ნიმუშთა, რომელიც ეროვნული კოსტიუმების ერთ-ერთ ყველაზე დიდ საცავს მოიცავს საქართველოში. ჩვენთან დაცულია ძალიან ცნობილი ქართული ქორეოგრაფიული დადგმების ეროვნული კოსტიუმები – „სუხიშვილების“, „ერისონის“ და ა. შ.; უფრო ძველი – XVI-XVII საუკუნეების, რომელსაც ქართველი მეფე-დედოფლები, თავად-აზნაურები ატარებდნენ. ისინი გაფორმებულია ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვებითა და ლითონებით. ჩვენთან არის დაცული ცნობილი და საეტაპო ფილმების კოსტიუმები – „გიორგი სააკაძე“, „ბაში-აზუკი“, „მაია წყნეთელი“, „დიდოსტატის მარჯვენა“... მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წავიყვანს.

ჩვენი მუზეუმი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ბიბლიოთეკის მფლობელია. ეს არ არის დიდი ბიბლიოთეკა, სულ 36 ათასამდე გამოცემა, მაგრამ მნიშვნელოვანია სახელობითი ბიბლიოთეკები – იაკობ გოგებაშვილის, გიორგი ერისთავის, გრაფ ოლდენბურგის, ივანე მაჩაბლის და სხვ.

თქვენი გაზეთის სპეციფიკიდან გამომდინარე, თქვენთვის ყველაზე საინტერესო იქნება იაკობ გოგებაშვილის ბიბლიოთეკა. აქ ინახება ლამაზი, რომლის შუქზეც დაიწერა ქართული სიფიკარი ნიგნი „დედაენა“. აქვეა წარმოდგენილი იაკობ გოგებაშვილის ავეჯი, მისი პირადი კაბინეტი. უახლოეს მომავალში, როცა დასრულდება დარბაზების რეაბილიტაცია, ვგეგმავთ, იაკობ გოგებაშვილის ავეჯი და პირადი ნივთები საგანგებოდ გამოვფინოთ. ეს განსაკუთრებულად საინტერესო იქნება მოსწავლეებისათვის და არა მარტო მათთვის.

– შენობის ნაწილს რესტავრაცია ჩაუტარდა, რამდენ ხანში ამუშავდება მუზეუმი სრული დატვირთვით?

– 2 წლის წინ შენობა ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო, ფაქტობრივად – დანგრევის პირას. არ არსებობდა არანაირი სამუშეო პრობები და კოლექციებს განადგურება ემუქრებოდა, ზოგიერთი ექსპონატი დაზიანებულიცაა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქის მერიის მხარდაჭერითა და ძალისხმევით, მოხერხდა შენობის გადარჩენა, სასახლე ისტორიული იერ-სახე დაიბრუნა. მისი მდგრადობის საკითხიც კი იდგა და ამიტომ ვერანაირ შიდა სამუშაოს ვერ ვიწყებდით. საბედნიეროდ, ეს პრობლემა გადაწყვეტილია, დაიწყო შენობის რეაბილიტაცია. უკვე გაგხსენით მუზეუმის დამაარსებლის, დავით არსენიშვილის სახელობის ერთი საგამოფენო დარბაზი, სადაც, გამოფენების პარალელურად, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტიც ხორციელდება.

– სამუზეუმო ექსპონატებიდან რომელია ისტორიული თუ მემორიალური ღირებულებით ყველაზე უნიკალური ან გამორჩეული?

– ყველაზე ძვირფასი, უნიკალური, გამორჩეული – ასეთი ტერმინები უამრავი ნივთთან მიმართებაში შეგვიძლია გამოვიყენოთ, რადგან მუზეუმში ძალიან ბევრი უპრეცედენტო ნივთია წარმოდგენილი, ანუ მხოლოდ ერთი ეგზემპლარია, ვერც სხვა მუზეუმში და ვერც სხვა კოლექციაში მათ ანალოგს ვერ იპოვით. მაგალითად, საქართველოს დედოფ-

ლის თეკლე ბატონიშვილის კოსტიუმი, რომელიც მთლიანად ოქროთა გაფორმებული და მე-17 საუკუნით თარიღდება. ქარგვისთვის ნამდვილი ოქროა გამოყენებული, რაც მნიშვნელოვანია როგორც ოქროს დამუშავების ტექნოლოგიის მხრივ, ასევე იმიტაც, რომ, როგორც ჩანს, ის ფილმ „გიორგი სააკაძეში“ აცვია დედოფალს. კოსტიუმი საგანგებოდ გადასცეს მიხეილ ჭიაურელს. თეკლე ბატონიშვილის კაბა ერთ-ერთი თავადის პირად კოლექციაში ინახებოდა, გასაბჭოების შემდეგ ჩამოართვეს და კინოსტუდიას გადასცეს. აქედან გამომდინარე, ეს კოსტიუმი მემორიალური და ისტორიული მნიშვნელობისაა.

ჩვენი მუზეუმის ყველაზე ხანდაზმული ნივთი ძველი ნელთადრიცხვის მეორე ათასწლეულის თარიღდება – გულსაკიდი თეატრალური ნიღაბი, ნახევარი სახე ილიმის და მეორე – დამწვრებულია. ნიღაბი ვანის გათხრების დროსაა აღმოჩენილი.

როგორც ვთხარით, აქ ძალიან ბევრი ღირებული ნივთია, თუნდაც იაკობ გოგებაშვილის ანდერძი, რომელსაც ვუნოდებ ტრაქტატს ქართველი ხალხისადმი – როგორ უნდა იყო განწყობილი საკუთარი ხალხისადმი, როგორ უნდა იღვანო, ისწავლო, რომ ქვეყანას მეტი წარმატება მოუტანო.

– საბიბლიოთეკო ფონდში რომელია ყველაზე ძველი გამოცემა?

– ყველაზე ძველი გამოცემა, რომელიც 1573 წლით (მე-16 საუკუნე) თარიღდება და გერმანიაშია გამოცემული, გრაფ ოლდენბურგის ბიბლიოთეკიდანაა. ასევე უნიკალურია შექსპირის გამოცემა, რომელიც ორმაგად ძვირფასია – ქართულ ენაზე პირველად ნათარგმნი შექსპირი, ივანე მაჩაბლის მიერ, მისივე ბიბლიოთეკიდან. წიგნს ივანე მაჩაბლის ხელით აქვს მიწერილი ფანქრით – „თარგმანი“. ასევე, მნიშვნელოვანია ქართულ ძველნაბჭედ წიგნთა კოლექცია, სადაც არის სახარების, ერეკლეს სტამბის გამოცე-

მები. და კიდევ, ჩვენთან ინახება ე.წ. ოსური „კონდაკი“, რომელიც პოლიტიკური დატვირთვითაც მნიშვნელოვანია. ის ოსებისთვის არის შედგენილი ორი პარალელური ტექსტით – ქართული და ოსური. აქ ყურადღება მისაქცევია ის, რომ ოსური ტექსტი ძველი ქართული ანბანითაა დაბეჭდილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ოსები ქართული ანბანით კითხულობდნენ ოსურ სალოცავ თუ სხვა სახის ტექსტებს. შემონახულია, ასევე, აფხაზური გამოცემებიც, აფხაზურ ენაზე ქართული ასოებით, მაგალითად, აფხაზური „დედაენები“ – აფხაზურ ენაზე, მაგრამ ქართული ალფაბეტით, რაც ჩვენი ისტორიის კვლევისთვის უდავოდ მნიშვნელოვანია.

უნიკალური გამოცემებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია „მსოფლიო კოსტიუმის ისტორია“, რომელიც კოტე მარჯანიშვილის ბიბლიოთეკაში ინახება. დაბეჭდილია ოქროს გამოყენებით და მსოფლიოს კოსტიუმის ისტორიას ასახავს. ეს გასაოცარი მოგზაურობა მოდის სამყაროში, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ფოტომასალასთან დაკავშირებით, შემიძლია ვთხაროთ, რომ ჩვენთან 136 ათასზე მეტი ფოტოდოკუმენტი და ფოტონეგატივი ინახება. ფოტოთა წარმოდგენილი: მთელი თეატრალური და კინო ცხოვრება; ძალიან მნიშვნელოვანი საგვარეულო ალბომები – ერისთავების, დადიანების, ორბელიანების ფოტოალბომები, რომლებიც მათ ოჯახებში ინახებოდა. ალბომები ძვირფასადაა გაფორმებული და ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენს. ბევრი ისეთი ფოტოა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენთან შეიძლება ნახოთ, სხვაგან არსად არის შემორჩენილი.

რაც შეეხება განსაკუთრებულ ნივთებს, ასეთი ძალიან ბევრია, მაგალითისთვის დიმიტრი ყიფიანის ნესესერს დავასახელებ, ე.წ. სამგავრო-სამსახიობო ყუთს, რომელშიც მაკიაჟის გასაკეთებელი მასალა ინახებოდა. მოგხსენებთ, დიმიტრი ყიფიანი ქართველი



დიმიტრი ყიფიანის ნესესერი

სტუმარი

საზოგადოებისთვის ძვირფასი სახელია, ქართულმა ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა, მაგრამ ნაკლებად ცნობილი, რომ დიმიტრი ყიფიანი თავის დროზე მსახიობი იყო. მას რამდენიმე როლი აქვს შესრულებული, კარინერა სწორედ მსახიობობით დაიწყო. საფრანგეთში საგანგებოდ შეუკვეთა ნესესერი, სადაც გრიმისთვის საჭირო მასალას ინახავდა. ეს ნივთი ძვირფასია იმით, რომ ნათელს ჰყვენს დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების ნაკლებად ცნობილ მონაკვეთს და მეორე - როგორც ხელოვნების ნიმუში. მასზე შესრულებულია საქართველოს მეფეთა გვირგვინი, რომელშიც ჩამაგრებულია დამლა ასომთავრული წარწერით: დიმიტრი ყიფიანი. საერთოდ, დიმიტრი ყიფიანის ნივთთაგან ძალიან ცოტა რამ შემოგვრჩა, ძირითადად - მისი ხელნაწერები. სულ ორი ნივთი გვაქვს: ნესესერი და სამგზავრო ვერცხლის ჭიქა, რომელზეც ასევე მისი სახელი და გვარია ამოტივრული. საინტერესოა, თუ როგორ მოხვდა ეს ნივთი ჩვენს მუზეუმში: საინვენტარო ნიგში 1957 წელსაა გატარებული, მოუტანია თავად მუზეუმის დამაარსებელს დავით არსენიშვილს. ალბათ, საბჭოთა პერიოდში ამ ამბავს განსაკუთრებული გამოხმაურება მოჰყვებოდა, რადგანაც დიმიტრი ყიფიანს ამ პერიოდში არ სწავლობდნენ. დღეს ეს ნივთი ჩვენი მუზეუმის საგანძურის მარგალიტია.

მუზეუმმა აქტიურად დაიწყო საგანმანათლებლო პროექტები, რას გვეტყვი ამის შესახებ?

მიგვაჩნია, რომ მუზეუმი დახურული სივრცე არ არის. თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენს ცნობიერებაში საბჭოთა პერიოდის დამკვიდრდა აზრი, რომ მუზეუმი დახურული სივრცეა, სადაც არავის არაფერი ესაქმება, გამოფენაზე მუშის მიღმა ექსპონატების ნახვის გარდა. ეს პრაქტიკა დიდი ხანია მოძველდა, რადგან 21-ე საუკუნეში, ინტერნეტისა და ტელევიზიების სამყაროში, ადამიანებს საინტერესო მასალის მოძიებისა და ნახვის მეტი შესაძლებლობა აქვთ. მხოლოდ ვიტრინაში გამოდებული ნივთით ვერავის დავაინტერესებთ, განსაკუთრებით - მომავალ თაობას (ამ ნივთს ინტერნეტითაც ნახავენ). ჩვენ გვინდა, ექსპონირებული ნივთი რაიმეთი განსხვავდებოდეს ფოტოსგან, სხვა დატვირთვა ჰქონდეს. ბევრი ვიფიქრეთ, რითი დაგვეინტერესებინა და როგორ მოგვეზიდა ახალგაზრდობა (ეს არა მხოლოდ ჩვენი, არამედ მთელი მსოფლიოს პრობლემა).

გადავწყვიტეთ, ამ კუთხით საგანმანათლებლო მუშაობა დაგვეწყოს. ვახორციელებთ ორ პროექტს, რომლებიც, შეიძლება ითქვას, წარმატებით მიმდინარეობს. მოსწავლეთა მიღებას ვერ ავუდივართ, დღეში 3-4 ჯგუფი მოდის. ერთ-ერთი პროექტი უკავშირდება ახალგაზრდა მხატვრისა და მოქანდაკის, ბაჩო ცანავას ნამუშევრების გამოფენას - „თოჯინები თამაშობენ“. თოჯინების თემა ბავშვებისთვის მიმზიდველია, ინტერესით ათვალისკენებენ გამოფენილ თოჯინებს, შემდეგ სხდებიან საგამოფენო დარბაზში მათთვის საგანგებოდ გამოყოფილ მაგიდასთან და, დაახლოებით, 10 წუთის განმავლობაში ეკრანზე თვალს ადევნებენ მსოფლიო თოჯინე-

ბის განვითარების ისტორიას, იღებენ ინფორმაციას, როგორ შეიქმნა პირველი ქართული თოჯინა, რა მისია ჰქონდა მას. როგორც იცით, ყველა თოჯინას თავისი მისია ჰქონდა - საშობაო, საახალწლო თუ მისალოცი, დედოფალა და სხვ. ბავშვები ინფორმაციას ვიდუომასალით იღებენ. შემდეგ მოქანდაკე მათ თვალწინ ამზადებს ისეთივე თოჯინებს. ძველად, საქართველოში, თოჯინები ნაჭრებისა და ხის კოვზებისგან მზადდებოდა. ჩვენ ამ მასალასაც ვაცნობთ ბავშვებს და შემდეგ თავად მონაწილეობენ მათ დამზადებაში. პროექტის მონაწილე ბავშვები ძალიან სასარგებლო ინფორმაციას იღებენ თოჯინების შექმნის ისტორიისა და მასთან დაკავშირებულ ეთნოგრაფიულ თუ ისტორიულ საკითხებზე. მაგალითად, სწავლობენ საშობაო თოჯინის დამზადებას და, პარალელურად, ისმენენ, რა დატვირთვა აქვს მას საქართველოში, როგორ აღნიშნავდნენ ძველად შობას.

გვაქვს მეორე, ასევე წარმატებული პროექტი. ჩვენთან გაიხსნა გამოფენა „ქართული კვალი სამხრეთ კავკასიაში“ - გვეგმავთ ექსპოზიციათა სერიის გაგრძელებას აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს გამოფენაც „მკვდარი“ რომ არ ყოფილიყო, ავამოქმედეთ პროექტი „გახდი ტაძრის ხუროთმოძღვარი“, რომელშიც ახალგაზრდა მხატვარი და არქიტექტორი ნიკოლოზ კოჭლამაზაშვილი მონაწილეობს (საერთოდ, ვცდილობთ, ახალი თაობა ჩავაბათ საგანმანათლებლო პროექტებში, ეს გაცილებით უფრო დაინტერესებს მოსწავლეებს. გვინდა, რომ მათაც გაუჩნდეთ, კარგი გაგებით, მიმბაძველობის სურვილი - ანუ თუ კარგად ისწავლიან, შემდგომში თავადაც შეძლებენ მსგავსი საქმის კეთებას). ახალგაზრდა არქიტექტორი მოსწავლეებს ეკრანზე ათვალისკენებინებს ცნობილ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს და უხსნის: რისგან შედგება ციხე-სიმაგრე ან ტაძარი, როგორ შენდებოდა, რას აკეთებდა ძველად არქიტექტორი იმისთვის, რომ აუშენებინა ტაძარი; რა არის „ნავი“, „სტოა“, „გუმბათი-ქვეშა ბოძი“, „გუმბათის ყელი“, „სახურავი“ და ა.შ. ბავშვები სპეციალურად მათთვის დამზადებული ქაღალდის ფორმებით იწყებენ ამ არქიტექტურული ძეგლების დეტალების გამოჭრას და ამზადებენ ცნობილი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების მაკეტებს - პარხალს, ოშქსა და ა.შ. ვიდუომასალით ათვალისკენებენ ქართულ ფრესკებს, არქიტექტორი უხსნით რას, რა ფერებით და რატომ აფერადებდნენ ძველად - რატომ არის შარავანდები ოქროსფერი ან მოსასხამი - ლურჯი, რა კავშირი ჰქონდა ამას ბიზანტიურ ან ქართველ მეფეთა ტანსაცმელთან. შემდეგ მათ შესაბამის გასაფერადებელ ფორმებს აძლევენ და მოსწავლეები გრაფიკულ ფორმებს თვითნებურ ფანტაზიით აფერადებენ იმ პრინციპების გათვალისწინებით, რაც ქართულ ფერწერაში იყო დამკვიდრებული. არის ასეთი მოთხოვნა, მაგალითად, „დაასრულეთ ჩუქურთმა“ და პროექტის მონაწილეები ეცნობიან ჩუქურთმების სტილს (როგორც იცით, ქართულ ჩუქურთმას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა) და შემდეგ თავად ასრულებენ ჩუ-



საგანმანათლებლო პროექტი „გახდი ტაძრის ხუროთმოძღვარი“

ქურთმას. არის ასეთი დავალებაც: „მოხატე კარიბჭე“. ცნობილია, ქართული კარიბჭეები ციხე-სიმაგრეებსა და ტაძრებში საგანგებოდ ფორმდებოდა. ბავშვები მსგავსი ნიმუშების შექმნას ცდილობენ. ეს პროექტი იმდენ მაძლევს, რომ მომავალში ბევრი კარგი არქიტექტორი, მხატვარი და საერთოდ, კარგი ხელოვანი გვეყოლება.

ფიქრობ, მოსწავლეებმა ჩვენი მუზეუმი ძალიან შეიყვარეს. სულ რამდენიმე თვეა, ნახევარი დეკორატიული ვმუშაობთ და, როგორც გითხარით, დღეში 30-60 ახალგაზრდას ვიღებთ. რაც მთავარია, ისინი აქედან ძალიან კმაყოფილები მიდიან. როცა პირველი პროექტის - „გახდი ტაძრის ხუროთმოძღვარი“ ტესტირება ჩავატარეთ, 12 საათზე მოსული ბავშვები 6 საათზე წავიდნენ. ბუნებრივია, შემდეგ დრო შევამცირეთ. მადლობა მინდა გადავუხადო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რადგან მათგან აქტიური მხარდაჭერა გვექონდა. სამინისტროს მიერ დაფინანსდა, ასევე, პროექტი „კომიქსი“. მოგესხენებათ, ჩვენთან დაცულია ყველა ქართული მულტიპლიკაციური ფილმისა და ქართული დიაფილმების ესკიზები. ისინი ღირებულნი და მნიშვნელოვანია იმით, რომ დიდი ქართველი მხატვრის მიერაა შესრულებული, ასევე იმითაც, რომ საგანმანათლებლო ფუნქცია აქვთ. იცოდით, რომ „მუშანიკის ნამება“ ან „სტუმარ-მასპინძელი“ დიაფილმებია და დახატული? დიდი ხანი ვფიქრობდით, რა გავგვეკეთებინა ამ თემის ნამოსაწვებად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, შექმენით ყველასთვის ცნობილი და საკმაოდ რთული ნაწარმოებების კომიქსები, მაგალითად, „მუშანიკის ნამება“ (მთელი ბავშვობა ვოცნებობდი, მენახა როგორი იყო მუშანიკი ან ვარსკენი). დავასურათეთ ცნობილი ქართული ნაწარმოებები. კომიქსი 100-ზე მეტი ნახატისაგან შედგება, ბავშვები უფრო იოლად გაიგებენ მათთვის რთულ ტექსტებს, რადგან დასურათებულს ნახავენ. კომიქსების სერიას ჰქვია „კარგარეთელის 6“, ვგეგმავთ 6-მდე კომიქსის გამოშვებას. მომზადებულია ელექტრონული ვერსიები, რომლებიც სკოლებში გავრცელდება. ძალიან მალე დავიწყებთ ბეჭდვას. პირველ ტესტირებას დადებითი შედეგები მოჰყვა.

თქვენ საზოგადოებას თავი დოკუმენტური ფილმებითაც დამახსოვრეთ, აპირებთ თუ არა მომავალში ამ საქმის გაგრძელებას?

ჩემთვის ეს ფილმები ძალიან ძვირფასია იმიტომ, რომ ჩემი ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილია. ვერ ვიტყვი, რომ ეს განვლილი ეტაპია, რადგან ვფიქრობ, მომავალში კიდევ გადავიღებ ახალ ფილმებს. უბრალოდ, მუზეუმში ბევრი საქმე იყო, ერთდროულად ორი საქმის კეთება კი მიჭირს - მაქსიმალურად მხოლოდ ერთ საქმეში ვიხარავ. უახლოეს მომავალში, ვგეგმავ რამდენიმე ფილმის გადაღებას, მათ შორის, ახმედ მელაშვილზე, რომელსაც თურქეთის ილია ჭავჭავაძის უწოდებენ. შვიი მასალა, ფაქტობრივად, გადაღებულია, ახლა სცენარის მომზადებასა და სხვა სამუშაოები ჩასატარებელი. ვგეგმავ, ასევე, ფილმის გადაღებას ინდოელ ქართველებზე, რაზეც აქტიური მოლაპარაკება მიმ-

დინარეობს, თანხმდება გარკვეული დეტალები. ძალიან მალე ჩემი ფილმები ერთ-ერთ რეიტინგულ არხზე (სიურპრიზად დავიტოვევ) გამოჩნდება და იმედია, ისეთივე ინტერესით მიიღებს მყურებელი, როგორც ეს მანამდე იყო.

ბოლო დროს მუზეუმი როგორ ივსება კოლექციებით?

ჩვენი მუზეუმი მუდმივად ივსება კერძო კოლექციებით. ბოლო სამი წლის განმავლობაში 8 000-ზე მეტი ნივთი გვაქვს მიღებული, უმეტესი ნაწილი საჩუქრად გადმოგვეცა. რასაკვირველია, ეს მხოლოდ ჩვენი დამსახურება არ არის, რადგან ადამიანი, რომელიც ასეთ ნივთს აძლევს მუზეუმს, პირველ რიგში, ნდობას სახელმწიფოს უცხადებს - ამ შემთხვევაში, ჩუქნის ქართველ ხალხს. ძალიან მიხარია, რომ საზოგადოების ნდობა მუზეუმისა და სახელმწიფოსადმი გაიზარდა და მნიშვნელოვანი ნივთის სახლი დგება ურჩვენი-ათ, მუზეუმს გადასცენ. ეს ერისთვის მართლაც დიდი საჩუქარია და, იმავდროულად, მაღალგონიერების დასტურია იმიტომ, რომ ევროპის ყველა მუზეუმი სწორედ ასე იქმნებოდა, არა ერთი და ორი პიროვნების, არამედ მთელი ერის მიერ. ახლა ეს პროცესი ჩვენთანაც მიმდინარეობს.

თქვენ გვითხარით, რომ გაქვთ ამბიცია მუზეუმი „ქართულ ლუვრად“ გადააქციოთ...


მართალია, ამბიცია გვაქვს იმისა, რომ ჩვენი მუზეუმი იყოს საქართველოს ლუვრი იმიტომ, რომ ჩვენთან მართლაც უნიკალური კოლექციებია დაცული, შენობაც იმდენად მომზიბველია, რომ ნამდვილად იმსახურებს საქართველოს ლუვრად გადაქცევას, ქვეყანა კი - ერთი ლუვრი რომ ჰქონდეს. ეს ჯანსაღი ამბიციაა. აქ შემოსული ადამიანი მიიღებს ძალიან დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას, ნახავს არა მარტო ხელოვნების ნიმუშებს, არამედ ძალიან ბევრ რამეს შეიმეცნებს და ისწავლის, რაც ლუვრისთვის იყო მუდმივად დამახასიათებელი.

გამორჩეული ნივთი თუ გაქვთ?

როგორც მუზეუმის დირექტორს, როგორც კი გამორჩეული ნივთი გამოჩნდება, უნდა წავიდე - იმიტომ, რომ მუზეუმის დირექტორისთვის არ არსებობენ არც გამორჩეული თანამშრომლები და არც გამორჩეული ექსპონატები. აქ ყველა და ყველაფერი განსაკუთრებული და გამორჩეულია. თუმცა, სუბიექტურად, თავად შენობის არქიტექტურა ძალიან მომწონს და მიყვარს. განსაკუთრებულად ვუფრთხილდები და ვცდილობ, ყველაფერი ძველი სახით შევინარჩუნო. ვფიქრობთ, ერთ წელსნადაში სრულ დატვირთვის თუ არა, 70%-იანს მივალწევთ.

ახლა ვინცეით ისტორიული ნაწილის - ორი საგამოფენო დარბაზის რეაბილიტაციას და ეს პროცესი ეტაპობრივად გაგრძელდება. ვერ ვიჩქარებთ, რადგან საქმე გვაქვს ისეთი მაღალი დონის საგანძურთან, რომ სიჩქარემ შეიძლება რაიმე დაახარალოს, აქ ხომ რემონტი კი არა, რესტავრაცია მიმდინარეობს, რესტავრაციას კი საკმაოდ დიდი დრო მი-აქვს.

ესაუბრა ლალი ჭვალაძე



ივანე მაჩაბლის მინაწერი უილიამ შექსპირის „ტრაგედიებზე“

მათემატიკა

რევაზ ინანიშვილის შემოქმედების კვლადაკვალ

ნოველების გმირთა ფსიქოლოგიური პორტრეტები

ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის №3 საჯარო სკოლის XII¹ კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი ქართულში, რომელიც ეხმარებოდა მე-12 კლასის სახელმძღვანელოში მოცემულ რუბრიკას ქალი და მამაკაცი. გაკვეთილის თემა – „რევაზ ინანიშვილის სამი ნოველი – „მონმენდილი ცის ქვეშ“, „ევა“, „მედეა“ – ნოველების ანალიზი ანუ გმირთა ფსიქოლოგიური პორტრეტები (მას-ნაველებელი – მარინე არაბიძე-აშვეთია). გაკვეთილი შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პოსტულატებს.

გაკვეთილის გეგმა
საკლასო ოთახში თვალსაჩინო ადგილზე იყო განთავსებული დროში განერილი გაკვეთილის გეგმა მისაღწევი შედეგით, სასწავლო მიზნით, აქტივობებით, შეფასების ფორმებით. აქვე გახლდათ ტაბულა - დეკორირების ცხრილი, რომელიც ერთგვარი გზამკვლევის როლს ასრულებდა ნოველების სრული ანალიზისათვის.

გაკვეთილის გეგმა

Table with 2 columns: Topic (გაკვეთილის თემა, სასწავლო მიზანი, აბტივობები, რესურსები, შეფასების ფორმა-დაპირიკება, კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან) and Content (რევაზ ინანიშვილი - სამი ნოველი: „მონმენდილი ცის ქვეშ“, „ევა“, „მედეა“ - ტექსტების იდეურ-მხატვრული ანალიზი, ანუ ნოველების გმირთა ფსიქოლოგიური პორტრეტები (რუბრიკა სახელმძღვანელოდან - ქალი და მამაკაცი), გააზრებული კითხვის, ანალიზისა და შეფასების უნარების განვითარება, ტექსტების შესახებ არგუმენტირებული მოსაზრებების გამოხატვა, საკუთარი პოზიციის გამოხატვა, ტექსტის კოდირება-დეკოდირების უნარების განვითარება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გააზრების უნარის წარმოჩენა, საკომუნიკაციო უნარების განვითარება ზეპირი და წერილი მუშაობის დროს, მასწავლებლის შესავალი სიტყვა - 2წთ, გაკვეთილის გეგმის მოკლე მიმოხილვა - 2წთ, სიყვარულის არსის წვდომისათვის - მაინც რა არის სიყვარული? ქალი და მამაკაცი? (ფრთხილი გამოხატულებები) - 3წთ, პლატონი და ზიგმუნდ ფროიდი სიყვარულის შესახებ - 3წთ, მოკლე ცნობები რევაზ ინანიშვილის შესახებ - 3წთ, დეკოდირების ცხრილის პრეზენტაცია - 10წთ, შინაარსობრივი კოდი. ნოველების მოკლე შინაარსის თხრობა, უნარული კოდი, პლატონისეული კოდი - „ევა“, ფროიდისეული კოდი - „მონმენდილი ცის ქვეშ“, რომელ ფსიქოლოგიურ კოდს მივაკუთნოთ „მედეა“, კულტურული კოდი - საკუთარი სახელების ალტერნატიული დატვირთვა - „ევა“, „მედეა“, გამოსახვის საშუალებათა კოდი (ენობრივი მხარე, სტილი) ჯგუფური მუშაობა (მთელი კლასი). ჯგუფების საერთო საშუალო თემა - „გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტი“ (წერილი დავალება) - 13წთ. (კლასი დაიყოფა სამ ჯგუფად, პირველი ჯგუფის საშუალო - „მონმენდილი ცის ქვეშ“, მეორე ჯგუფისა - „ევა“, ხოლო მესამე - „მედეა“). თვითშეფასების ბარათების დარიგება მოსწავლეებისათვის. სიყვარულის თემაზე დაწერილი ლექსების თავისუფალი კითხვა - 4წთ, სახელმძღვანელო, კომპიუტერი, მარკერები, დეკოდირების სქემა, ტაბულა, ფასდება საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა, პრობლემის გადაჭრისა და მსჯელობის უნარი, არგუმენტირებული მოსაზრებების გამოთქმის, ტექსტის დეკოდირების უნარები, საკუთარი მოსაზრების ზეპირი და წერილობითი გამოხატვა. შემოქმედებითი აზროვნება, საკომუნიკაციო უნარების წარმოჩენა, XII.8.1.2, 3, 8, XII.6.3, XII.7.3, XII.9.4, XII.13.2.6, XII.14.1, 2, 3, 4, საშინაო დავალება - დაწერე ესე „პლატონი, ფროიდი და სიყვარულის დღევანდელი გაგება“.

აბტივობა 1. მასწავლებლის შესავალი სიტყვა - 2წთ.

გაკვეთილის გეგმის მოკლე მიმოხილვა - 2წთ.
მასწავლებელმა კლასსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო გაკვეთილის გეგმა, თქვა, რომ რუბრიკა „ქალი და მამაკაცი“ ბევრ საინტერესო მასალას გვთავაზობს. მათ შორისაა არც გუ-რევიჩის „ეროსი და კულტურა“. აქ ვეცნობით უძველესი ფილოსოფიური აზროვნების უმთავრეს თეზას ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის შესახებ - პლატონისა და ფროიდის კონცეფციებს. პლატონური სიყვარული ღვთაებრივი და ამაღლებულია, ფროიდული კი ხორციელია, რაც თავისებურ გამოხატულებას პოულობს ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ ფორმაში. რა იქნებოდა სამყარო ქალისა და მამაკაცის გარეშე? არც არაფერი, ირგვლივ იქნებოდა უკუნი, არც მზეს ექნებოდა კამკაშა ნათელი, არც მთვარეს - ვერცხლისფერი ნათება და რაც მთავარია, არ იარსებებდა მისი უდიდებულესობა - სიყვარული.
„როგორც ამბობენ, ერთ ადამიანს მეორეს შესახებ შეიძლება ყველაფერი დაავიწყდეს - მაღალი იყო თუ დაბალი, მსუქანი თუ გამხდარი, ხალისიანი თუ უხალისო, კარგი მოსაუბრე თუ სიტყვაძუნწი, განათლებული თუ გაუნათლებელი, მაგრამ არასოდეს დაავიწყდება ქალი იყო იგი თუ მამაკაცი.

ნებისმიერი ადამიანი იბადება ქალად ან კაცად ამ ქვეყანაზე და არ არსებობს ამ დასაზღვრული სივრცეიდან თავის დაღწევის საშუალება, მაგრამ ასევე არ არსებობს უფრო წინააღმდეგობრივი რამ, ვიდრე ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა. იგი არის ტკბილიც და მწარეც, სასიამოვნოც და უსიამოვნოც, ადვილიცა და ძნელიც, სამოთხეცა და ჯოჯოხეთიც. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე ინერებოდა დასაბამიდან და ინერება დღესაც. ინერებოდა ძალზე ღრმაცა და ძალზე მსუბუქიც, ტრაგიკულაცა და გასართობიც, მშვენიერიცა და შემადრწუნებელიც.
მოკლედ, სიყვარულის თემა ამოუწურავია. ამ ფენომენის საკუთარ ინტერპრეტაციებს დღემდე გვთავაზობენ მწერლები და ფილოსოფოსები, მხატვრები და კულტუროლოგები. რაც

მთავარია, თვითონ ჩვენც ჩვენი ცხოვრებით მაინც გვიწევს ამ თემასთან შეხება, რაკი ნებისმიერი ჩვენგანი ან ქალია, ან მამაკაცი და, ნებისთ თუ უნებლიეთ, ვემორჩილებით ამ უმნიშვნელოვანესი ურთიერთობის კანონზომიერებებს“ (ამონარიდი სახელმძღვანელოდან, გვ. 128).

აბტივობა 2. გონებრივი იერიში - 9წთ.

ა) სიყვარულის არსის წვდომისათვის - მაინც რა არის სიყვარული? ქალი და მამაკაცი? (ფრთხილი გამოხატულებები).

მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა, თავიანთ უბის წიგნაკში ჩანერილი და დამახსოვრებული ფრთხილი გამოხატულებები ხმამაღლა წარმოთქვან სიის რიგზე. კლასის ყველა მოსწავლემ დავალა შეასრულა, მათ ხმამაღლა წარმოთქვეს სხვადასხვაგვარი ნააზრევი სიყვარულზე: „სიყვარული ძლიერია ვითარცა სიკვდილი“, „სიყვარული ძლიერი და დაუმარცხებელი ვნებაა“, „სიყვარულის ამოხსნა ბუნებრივი წინამძღვრებით შეუძლებელია, რადგან მასში ჩადებულია უზარმაზარი არამიწერი ძალა“, „სიყვარული ესაა ადამიანის სწრაფვა ამაღლებულისაკენ“, „სიყვარულში ჩადებულია პოეტური ძალა, რომელიც ქმნის“, „სიყვარულის საიდუმლოს ამოხსნა არსებითად ადამიანის ფენომენის ტოლფასია“, „ეროსი საიდუმლოებაა“, „ეროსი უძველესი ღმერთია, სიყვარული - უნივერსალური გრძობა“, „სიყვარული ეს ის გრძობაა, რომელზეც ბარათაშვილს უთქვამს: „მოკვდავთა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძობის გამოთქმა“, „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ, უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“, „სიყვარული აგვამალავს, ვით ეყვანნი ამას ჟღერენ“, „მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი, იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უბის დიდი ზღვარი“, „სიყვარულია თავად ღმერთი ამ ქვეყანაზე“, „ვისაც უგემნია სიყვარული, მას უგემნია თავად სიკვდილი“, „სამყარო სიყვარულის ღერძზე ტრიალებს“.

ბ) როგორ გესმით პლატონური სიყვარული? რას გულისხმობს სიყვარულის პლატონური გაგება? მოსწავლეები განმარტავენ, რომ სიყვარულის პლატონური გაგება ქრისტიანული და ამაღლდროულად რომანტიკულია. იგი არის სწრაფვა ამაღლებულისაკენ, ღვთაებრივისაკენ, ზეციური სრულყოფილებისაკენ. ავსტრიელი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი ზიგმუნდ ფროიდი სიყვარულის უმთავრეს არსს ხორციელ ვნებებში ხედავს, რომელიც ყველგან აღწევს და უთვალავ სახეს ღებულობს, მისი კვალი ჩანს ყველგან - ყოველდღიურობის ორმეტრიალში, ლოცვის ექსტაზში, პოლიტიკაში...

გ) რა აერთიანებს პლატონისა და ფროიდის დოქტრინებს? ორივენი აღიარებენ, რომ სიყვარული არის დასაბამიერი ძლიერი გრძობა.

დ) როგორ აისახა მსოფლიო აზროვნებაში სიყვარულის სხვადასხვაგვარი გაგების ცნობილი გამოხატულებანი?

მოსწავლეები ასახელებენ კურტუაზიულ სიყვარულსა და ტრუბადურების პოეზიას. ე) მოკლე ბიოგრაფიული ცნობები რევაზ ინანიშვილის შესახებ.

რ. ინანიშვილი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ღირსეული წარმომადგენელია, იგი დაიბადა 1926 წელს, დაწერილი აქვს მაღალი მხატვრული ღირებულების ნოველები, იყო ნიჭიერი სცენარისტი, მისი სცენარით გადაღებული ფილმებია: „ქვიშანი დარჩებიან“, „ნატყრის ხე“, „არდადეგები“, „ჩირიკი და ჩიკოტელა“, „დედაენა“, „კაცები“ და სხვ.

გარდაიცვალა 1991 წელს, მაშინ როცა თბილისში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა, მესაფლავებებს ძლივს გაუჭრიათ საფლავი ქვემეხების გრილის გამო, 15-ოდე ჭირისუფალს გაუცილებია მთელი ქვეყნის დასატირებელი კაცი.

აბტივობა 3. დეკოდირების ცხრილის პრეზენტაცია - 10 წთ.

Table with 5 columns: Author (ავტორი ნაწარმოებში), Language (შანრული კოდი), Genre (ფსიქოლოგიური კოდი, პლატონი, ფროიდი), Character (გამოსახვის საშუალებათა კოდი, ენა, სტილი), and Evaluation (კულტურული კოდი). Rows include 'რევაზ ინანიშვილი' and '„მონმენდილი ცის ქვეშ“, „ევა“, „მედეა“'.

დეკოდირების ცხრილის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ მასში მოცემულ თითოეულ პუნქტზე.

1. შინაარსობრივი კოდი

ნოველების მოკლე შინაარსის თხრობა.

მოსწავლეები წარმოადგენენ ნოველების შინაარსს: „მონმენდილი ცის ქვეშ“
ანგამი ჭასთან უცნობი ქალის სხეული დალანდა. თეთრმკერდიანი, ფართოთეძოებიანი... კაცი წამოწილდა, განცდის დასამალავად ცხენს მიეტანა. სრულიად უაზროდ ხან კისერზე უსვამდა ხელს, ხან ფაფარს ვარცხნიდა.
ანგია ცხენს მოახტა, შინისაკენ გააჭენა, გამთბარმა და აღტაცებულმა, ძალა შეემატა... შინ მისულიც ვერ ეტევა კანში... წინაკიანი კერძი უნდა, ბევრ წინაკიანი, სასმელს ეტანება, ცოლსაც აძალავს... ცოლიც ამწნევს უცნაურ აღტაცებას. ანგის ძმა ჰყავს - ბიძინა. ისიც შეყვარებულია. მიდის და ღამით გარეთ მინდორზე გაიმოტება. თავზე მონმენდილი, ვარსკვლავიანი ცა დაჰყურებს.

„ევა“

სოფლიდან ქალაქში სასწავლებლად ჩამოსული 19 წლის ევა და კარგა ხნით უფროსი აბელი ერთმანეთს ბებერ ნეკერჩხალთან ხვდებიან. მათ უყვართ ერთმანეთი. დამშვიდობებისას ევამ აბელს უთხრა, რომ მისთვის რაღაც უნდა ეკითხა. შეკითხვის დასმა განსაკუთრებულ ვითარებაში მოხდა. მეორე დღეს, ყველაზე ნათელ ადგილას გოგონა ეკითხება ევას: ჩემსავით თუ ვინმესთვის გიკოცნიაო.
აბელი ცრუობს, არაო. იფიცებს კიდევ. მოულოდნელად გოგონა ეუბნება გულახდილად, რომ მას ქუჩაში უცნობმა ბიჭებმა სამჯერ აკოცეს. ბიჭმა ნერვიულად ისროლა გამხმარი მინის გორხი, მერე აპატიო...

მეთოდია

„მედეა“

სუფრასთან სტუმრები შეკრებილან. თამადა მჭევრმეტყველებს: „ჩვენ იმ წყლებით ვართ მონათლულნი, კავკასიონიდან რომ ჩამოედინებოდა და ამირანის სისხლი ჩამოაქვთ ბარად.“

მედეა დგება სუფრიდან. ეუბნება გაიოზს, რომ ღამის პირველი საათია, მივდივარ და შენც წამოდიო. კაციც გაჰყვა, ქალი საჭესთან დაჯდა. თავანყვეტილი გაფრინდა. გზად პოლიცია აედევნა მოტოციკლით. ქალი ვულგარულად ამბობს: „ნადი შენი!..“, „მაგას კი დავაჟეჟინებ უკანალს...“

მედეა მოგვიანებით მანქანას აჩერებს. რაღაცას აჩვენებს პოლიციელს. ეს უკანასკნელი კი ჩესტს უღებს და უჯარიმოდ უშვებს.

ბახუსითა და ეროსის ისრით დაჭრილი გაიოზი ქალს მიჰყვება ბინაში. მედეა ეუბნება კაცს, რომ სიგნალიზაცია დარჩა ჩაურთავი. გაიოზი მედეამ გარეთ გაიტყუა და ცხვირწინ მიუხურა კარი.

2. ჟანრული კოდი


მოსწავლეები განმარტავენ ჟანრულ კოდს – ნოველას, რომ ნოველა ისეთი მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც გმირის ცხოვრების ერთ ეტაპს წარმოგვიდგენს. მსჯელობენ სამივე ნოველის კონკრეტულ მახასიათებლებზე.

3. ფსიქოლოგიური კოდი


მოსწავლეები მსჯელობენ ნოველების გმირთა მოქმედებების განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური ფონის შესახებ პლატონისა და ფროიდის მოძღვრებებთან მიმართებაში. ამ მოძღვრებების შესახებ მათ უკვე აქვთ გარკვეული ინფორმაცია არონ გურევიჩის ესეიდან „ეროსი და კულტურა“.

ბავშვებმა წარმოადგინეს ნოველის გმირთა ფსიქოლოგიური პორტრეტებისათვის ტექსტური სიგნალები, შეივსო სპეციალური ტაბულები საერთო რუბრიკით „ტექსტური სიგნალები“.

„მონმენდილი ცის ქვეშ“



„ევა“



რომელ ფსიქოლოგიურ კოდს მივაკუთნოთ მედეა? ბავშვები მსჯელობენ, რომ მედეას პერსონაჟში მკვეთრად არაა გამოხატული ფსიქოლოგიური კოდის ფროიდული თუ პლატონური მიმართულებები, თუმცა იგი საინტერესო ქალია თავისი ხასიათით, რაც მის თამამ თვითდაჯერებულ ქმედებებში ვლინდება.

მათემატიკა

მე-9 გვერდიდან

4. კულტურული კოდი

მოსწავლეები მსჯელობენ ნოველების კულტურული კოდის შესახებ, რომელიც გულსს-მობს საკუთარი სახელების ალგორითული დატვირთვის გააზრებას.

ევა ბიბლიური პირველი ქალის სახელია, რევაზ ინანიშვილის გმირი გოგონა პირველი ქალივით სუფთა ზნეობის ადამიანია, მას ანუხებს უნებური ცოდვა, ბიჭებმა რომ აკოცეს ქუჩაში. იგი ბიბლიური ევასავით მართალი და მიაბიტი. ამიტომაც მწერალმა თავის გმირს სახელად „ევა“ შეურჩია.

რ. ინანიშვილის სამი ნოველიდან ერთს „მედეა“ ჰქვია. ამ სახელსაც თავისებური ალგორითული დატვირთვა აქვს. მედეა არგონავტების მითის ცნობილი გმირი ქალია. იგი შურისმაძიებელი, ძლიერი ადამიანია, საოცრად მომხიბვლელი და თვითდაჯერებული (მედეა რომ თავის მოსახელე მითიური გმირის სახელს ამართლებს, ეს ნათლად გამოჩნდება ამ გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნისას, ჯგუფურ მუშაობაში).

5. გამოსახვის საშუალებათა კოდი

ნოველების ლაკონური ფორმის გამო გმირთა ხასიათების ნათლად წარმოჩენისათვის განსაკუთრებული როლი ენიჭება გამოსახვის მხატვრულ საშუალებებს. ის, რაც სამივე ნოველს აერთიანებს გამოსახვის ხერხების თვალსაზრისით, არის დიალოგის ფორმა. რ. ინანიშვილი დეტალებითაა გადმოცემული მწერლის სათქმელი. გვხვდება მხატვრული შედარებები: „თვლები მრგვალი, მთვარესავით ბაკოვლებული (შარავანდედინი), დამჭკნარი ბალახისფერი“. რაც შეეხება ეპიგრაფს, რომლითაც იწყება „მედეა“ („ყველაფერი მალაღონეზე, ყველაფერი დახვეწილად!“), მინიშნებს გმირის ხასიათზე. ესეც მხატვრული ხერხია.

აქტივობა 4. ჯგუფური მუშაობა (მონაწილეობს მთელი კლასი)

კლასი დაიყოფა 3 ჯგუფად. დავალება სამივესთვის ერთია – ნოველების გმირთა ფსიქოლოგიური პორტრეტები (ნერიით დავალება), სამუშაო დრო – 13წთ.

პირველი ჯგუფის სამუშაო – „მონმენდილი ცის ქვეშ“;

მეორე ჯგუფის – „ევა“;

მესამე ჯგუფის – „მედეა“.

დასახელდა ლიდერები: Iჯგ. – მარი ქარსელაძე, IIჯგ. – ქრისტინე ბაზაძე, IIIჯგ. – ნაზი ლელაძე.

მოსწავლეებმა იმუშავეს, შექმნეს მასალა ტექსტობრივი სიგნალებითა და სათანადო კომენტარებით. მასწავლებელი თითოეულ ჯგუფთან მიდიოდა, აკვირდებოდა, მითითებებს აძლევდა. დაფიქსირდა მუშაობის დასრულების დრო ჯგუფების მიხედვით. თითოეული გუნდის ლიდერმა გააკეთა ნამუშევრების პრეზენტაცია, პრეზენტაციაში ჩაერთო გუნდის წევრებმაც.

I ჯგუფის ნაზრები

ანგია ჩვეულებრივი მშრომელი კაცია, ჯანმრთელი, სიცოცხლისუნარიანი. იგი საღამოხანს ცხენით ბრუნდება შინ. გზად ქასთან გაიარა. ცხენს წყალი უნდა დააღვინოს, მაგრამ ქასთან გადახრილმა თეთრმკერდიანმა, ფართოთემოებიანმა ქალმა აანთო, გააშტერა, გონება დაუბინდა, წყალიც უჩვეულოდ ჩაასხა ცხენის სარწყულში, ეს ფროიდული განცდაა. ქალი თვალს მიეფარა, ანგია ანთებული დარჩა, ჟინმორეული ცხენს მოახტა და ჭენებით გასწია შინსაკენ. ანგიას გაგიჟება, უჩვეულო ჭენება შეუმჩნეველი თანასოფლელებსაც არ დარჩენიათ: „შეგვრიგდი, არსენო!“ – მიაძახეს.

ანგიას ქასთან შემთხვევით ნანახმა ქალმა ფროიდული განცდა მოჰგვარა. ყოველივე ეს მის ქვევასა და ხასიათზე აისახა. ის ხორციელი ლტოლვა, რაც ანგიას ქასთან ნანახმა უცნობმა ქალმა აღუძრა, შინაც მიჰყვა მას, მეუღლემ – ნატომაც შეამჩნია ტყავში რომ ველარ ეტეოდა მისი ქმარი, ვახშამზე კაცი წინაიან კერძს ითხოვს, ბევრ წინაიანს. ეს დეტალი ერთგვარად უფრო თვალსაჩინოს ხდის ანგიას „ფროიდულ განწყობას“. მალე სიყვარულის ფარგლებში გაგრძელდა „ვენების ხარჯვა“, მეუღლის ალტაცებამ ნატოც გაახარა. ორივე ბედნიერი იყო.

რაც შეეხება ბიძინას, ის ჯერჯერობით პლატონურადაა შეყვარებული ზეინაზე. სხვა რამეს იმიზეზებს და საყვარელ გოგონაზე საოცნებოდ მიდის სოფლის განაპირას. მდელიზე გაშოტილი ვარსკვლავიან ცას აპყურებს და ფიქრობს ზეინაზე. ეს გრძობა ამალელებული, პლატონურია, მაგრამ ვერც ფროიდულს ასცდება, როცა შეუღლებიან (ეს აზრი აზიკო კობაძემ მიანონადა თანაგუნდელს).

ნატო – ანგიას მეუღლე, ყურადღებიანი და მოსიყვარულე ქალია, მას შეუძლია ოჯახური იდილია შექმნას, მეუღლესთან იყოს ლაღი და მოსიყვარულე. ანგიას ალტაცებული გუნება-განწყობა მასზეც გადადის. თუმცა არ იცის საიდან იღებს სათავეს ქმრის ასეთი „სხვანაირი“ ალტაცება. რომ იცოდეს, ალბათ ასეთი ხალისიანი თავდაც არ იქნებოდა, ან იქნებ – პირიქით. ნატო თეთრ მალაღონადა და მკლავებს აჩენს და ეკეკლუცება მეუღლეს. ქმარი თვალებით ანიშნებს რაღაცას, მევე ქალს უახლოვდება... კარგი, არავინ დაგვიხახოს... – ეუბნება ქალი.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხორციელი და სულიერი ადამიანის ცხოვრების თანამდევნი, განუყოფელი ნაწილია და ავსებს ერთმანეთს. ეს ორი სანწყისი სიცოცხლის იდილის განუყოფელი და აუცილებელი პირობაა.

II ჯგუფის ნაზრები

„ევა“

მე-2 ჯგუფის მოსწავლეებმა საინტერესოდ იმუშავეს ევასა და აბელის ფსიქოლოგიურ პორტრეტებზე.

ევა სოფლელი გოგონაა, ქალაქში ჩამოსული. უყვარს აბელი. ბიჭიც ეტრფის. გოგონას ერთი „უცოდველი ცოდვა“ აწვალეს. „რაღაც უნდა გკითხო“ – ეუბნება გოგო ბიჭს და ამ დამანტრიგებელი ფრაზის შემდეგ, მეორე დღეს, ნათელ ადგილას გაიყვანს აბელს, თვალეებში ჩახედავს და ეკითხება: „თუ გიკოცნია ვინმესთვის ისე, როგორც მე“. აბელი ცრუობს – არაო. ევა გაუმხელს: მე უცნობმა ბიჭებმა მაკოცეს ქუჩაში სამჯერო. თანაც დასძენს: თუ გინდა მავატიე, თუ გინდა, არაო.

გოგონა სუფთა სინდისმა, მალაღონა ზნეობამ არ მოასვენა და აღსარება თქვა შეყვარებულის წინაშე. ამიტომაც არის ევა თავისი მოსახელე პირველი ქალივით – ევასავით მართალი და გულწრფელი და, რაც გულწრფელი და მართალია, ის ხომ ყველაფერი ძვირფასია. ევას სიყვარული სუფთაა, უხინჯო და ზედმიწევნით პლატონურია.

აბელი ქალაქელი ბიჭია, ასაკით ევაზე საკმაოდ უფროსი, მას გულწრფელად უყვარს გოგონა. ვაჟს ბევრი რამ აქვს ნანახ-განცდილი, ფროიდული გრძობებიც უგემნია. ევას კითხვაზე – ჩემსავით თუ ვინმესთვის გიკოცნიაო, ცრუობს – არაო. ამ სიცრუის თავისი მიზეზი ჰქონდა: აბელმა იფიქრა, ასეთ დროს ქალს მართალი არ უნდა უთხრა, გული ეტკინებაო და, ამიტომაც იცრუა. ავტორმა ვაჟის ფსიქოლოგიური დაძაბულობა მოქმედებით გამოხატა: აბელმა გამხმარი მინის გოროხი აიღო და ნერვიულად ისროლა, მევე გაირინდა და გაიღიმა, ე.ი. აპატია. აბელმა დაინახა ქალის გულწრფელობა. სულის სიღრმისეული განცდების დანახვაზე ხომ პლატონური განცდაა. აბელი განონანსობრებული ფსიქოლოგიური გმირია. შინაგანი ღირსებებით სასე.

III ჯგუფის ნაზრები

„მედეა“

გუნდმა საინტერესოდ იმუშავა მედეას ფსიქოლოგიურ სახეზე. ნოველის ეპიგრაფი, „ყველაფერი მალაღონეზე, ყველაფერი დახვეწილად“, მედეას ხასიათის ერთგვარი გასაღებია. ქალმა წვეულებიდან თავად გაიწვია კაცი. მედეა თამამი ქალია, ლამაზი, გამომწვევი, მდიდარი, გვარიანად ვულგარულიც: „წადი შენი!..“, „მაგას კი დაეფეფინებ უკანალს!..“ – ამბობს მედეა პოლიციელის მისამართით, რომელიც უკან მისდევდა საჭესთან მჯდომ ქალს, მოწყვეტილი რომ მიაქროლებდა ავტომანქანას, გვერდით კი გაიოზი უჯდა. ქალმა მანქანა შეაჩერა, თავად ეახლა პოლიციელს, რაღაც აჩვენა, პოლიციელმა „ჩესტი“ აულო და ჯარიმის გარეშე გაუშვა.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ ქალი თამამია, მამაკაცური, აქტიური, როცა გვერდით მამაკაცი უხის, მაშინაც წარმატებით ახდენს საკუთარი ძალის დემონსტრირებას.

ქალმა მამაკაცი აიყვანა თავის ბინაში, ქაჯური არაფერი იყოსო, – უთხრა, მევე რატომღაც გუნება შეეცვალა, „ფროიდული“ განწყობა მოიშორა, გაიოზს უთხრა, რომ გარეთ სიგნალიზაცია დარჩენილია გამოურთავი, კაცი გარეთ გაჰყვა. მედეამ გაიოზს ცხვირწინ მიუხურა კარი. ასე ოსტატურად გააცურა ქალმა ბახუსის ფრთებითა და ეროსის ისრით დაჭრილი მამაკაცი. მედეა თავისი ქცევებით არც პლატონურ მოძღვრებას შეესაბამება და არც ფროიდისას, თუმცა ასეთი ქალი, სავარაუდოდ, ფროიდულზეც არ იქნებოდა მწყრალად.

გაიოზის ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის ნოველაში ბევრი არაფერია თქმული, იგი დამარცხებული მამაკაცი ქალის წინაშე, ქალისა, რომელმაც მართლაც კარგად მოახერხა კაცის გაცურება.

თ ვ ი თ შ ე ფ ა ს ე ბ ა

მოსწავლეებმა შეავსეს თვითშეფასების ბარათები, რომლებიც დაურიგდათ ჯგუფური მუშაობის ბოლო ეტაპზე.

თვითშეფასების სქემა ჯგუფური მუშაობაში

XII კლასის მოსწავლე:

საგანი: ქართული.

გაკვეთილის თემა: რევაზ ინანიშვილის „სამი ნოველა – „მონმენდილი ცის ქვეშ“, „ევა“, „მედეა“.

1. სრულად ვიყავი ჩაბმული გუნდის მუშაობაში.
2. მოვახერხე ტექსტის გააზრება და დავაფიქსირე ჩემი მოსაზრებები.
3. ვითანამშრომლე გუნდის წევრებთან.
4. ჩემი მოსაზრება დავაფიქსირე არგუმენტებით.
5. მივიღე მონაწილეობა პრეზენტაციაში.
6. ვთვლი, რომ ჩემი უნარები რეალიზებული იყო გაკვეთილზე.
7. ჩავეტყე დროის რეგლამენტში.

აქტივობა 4

სიყვარულის თემაზე დაწერილი ლექსების კითხვა – 4წთ.

რესურსები – სახელმძღვანელო, კომპიუტერი, დეკორირების სქემა, ტაბულეტი, მარკერები, მოსწავლეთა პორტფოლიოები.

შეფასების ფორმა, დაკვირვება:

ფასდება საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა, პრობლემის გადაჭრისა და მსჯელობის უნარები; არგუმენტირებული მოსაზრებების გამოთქმის, ტექსტის დეკორირების უნარი; საკუთარი მოსაზრებების, ზეპირი და წერილობითი გამოხატვა, შემოქმედებითი აზროვნება, საკომუნიკაციო უნარების წარმოჩენა.

ჩატარებული გაკვეთილის ფარგლებში, აქტიურად ითანამშრომლეს მე-12 კლასის მოსწავლეებმა: ქრისტინე ბაზაძემ, ანა ბობოხიძემ, ნათია კაკუშაძემ, ნატა კაპაბაძემ, დიანა კახიძემ, ნიკოლოზ კლდიაშვილმა, არჩილ კობაძემ, ნიკოლოზ ლომთაძემ, ნაზი ლელაძემ, ლიკა მეფარიშვილმა, დემურ მონივამ, საბა სხირელმა, მარიამ ქარსელაძემ, მარიამ ყურაშვილმა, მირანდა ხანთაძემ, ანი და მარი ჯინჭარაძეებმა.

მასწავლებელმა შეავსო თვითშეფასების ცხრილი.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:

XII – 5, 6, 8, 13, 14.

გაკვეთილის თემა და მიზანი კონკრეტულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის შემდეგ ინდიკატორებს:

ქართ. XII. 13. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების ანალიზის დაწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს ნაწარმოების კონცეპტუალურ იდეას;
 - თავისუფლად ახერხებს მხატვრული ტექსტის ანალიზის ორგანიზება-სტრუქტურირებას;
 - ახასიათებს პერსონაჟებს (აღარებს და უპირისპირებს მათ ერთმანეთს); ქმნის პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ პორტრეტს კონკრეტული კონტექსტის მიხედვით (საქციელი, გადაწყვეტილები, მსჯელობა და ა. შ.);
 - განსაზღვრავს კონტექსტის არსს და ანალიზებს პერსონაჟთა დამოკიდებულებას/მომართებას ამ კონფლიქტთან;
 - წერილობით გადმოსცემს ავტორის დამოკიდებულებას ნაწარმოებში ასახულ ფასეულობებსა და შეხედულებებს;
 - ანალიზებს ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს (განწყობა, პერსონაჟთა სახეების შექმნა; ნაწარმოების სტილი და ენა; ლექსის რიტმი, რითმა და სხვადასხვა ენობრივი საშუალებები, რომლებიც ქმნიან მხატვრულ ეფექტებს) და მსჯელობს, რამდენად შეესაბამება ეს საშუალებები ნაწარმოების ძირითად შინაარსს;
 - იყენებს ციტატებს ნაწარმოებიდან საკუთარი არგუმენტების დასასაბუთებლად;
 - მსჯელობს, თუ რა დამოკიდებულება აქვს ავტორს კონკრეტული ისტორიული ეპოქის კულტურული ფასეულობების მიმართ.
- საშინაო დავალება: დაწერე ესე: „პლატონი, ფროიდი და სიყვარულის დღევანდელი გაგება“.

P.S. XII კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო (ავტორები – თამაზ ვასაძე, ნუგზარ მუშაშვილი, ნიკოლოზ ჩუბინიძე) მაღალი დონის სასწავლო-აღმზრდელობითი დანიშნულების წიგნია, რომელიც მეტად სასარგებლოა მაღალი აკადემიური დონის წერილი თუ ზეპირი მეტყველების დახვეწილი უნარების წარმოსაჩენად. მასში შეტანილი მხატვრული, ესეისტური, პუბლიცისტური თუ სხვა სახის მასალები გათვლილია აზროვნების მრავალნახანაგოვანი, ორიგინალური, განსხვავებული თვალსაზრისების, ანალიტიკური, სინთეზური და შემოქმედებითი მოსაზრებების წარმოჩენისათვის.

სახელმძღვანელოს დახვეწილი სტრუქტურა – ცალკეული თავები შესაბამისი რუბრიკებით, კითხვა-დავალებებით, სამსჯელო სიტუაციებით, პარალელები აერთიანებს ქართველი თუ უცხოელი ავტორების ნაზრევს, რომელიც უფრო მასშტაბურს ხდის კოგნიტიური პროცესების გააქტიურებასა და წარმოჩენას; ცოდნის, გაგების, ანალიზისა და სინთეზის უნარების გამოყენებას.

სახელმძღვანელო აქტიურებს მოსწავლეს, ხელს უწყობს არა მარტო შემეცნებით, არამედ სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების გამოვლინებას. რაც მთავარია, ეს ყველაფერი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაშია მოქცეული და გათვლილია როგორც საატესტატო გამოცდების, ისე უმაღლეს სასწავლებელში მისაღები ეროვნული გამოცდების წარმატებით დაძლევისაკენ.

ინფორმაცია



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დელეგაცია, მინისტრის – დიმიტრი შაშკინის ხელმძღვანელობით, ოფიციალური ვიზიტით აშშ-ში იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოეწერა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამას „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ და ორგანიზაცია ESL certified Banaoco International-ს შორის შეთანხმებას.

მემორანდუმის ფარგლებში, ESL certified Banaoco International უზრუნველყოფს პროექტის შესახებ უცხოელი მოხალისეების ინფორმირებას და მსურველებს დახმარებას გაუწევს პროგრამაში „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ჩაერთონ. ასევე, გადაამზადებს მსურველებს ინგლისურის, როგორც მეორე ენის სწავლების ფარგლებში და სერტიფიცირებულ მასწავლებლებს შესაძლებლობას მისცემს, საქართველოში ასწავლონ.

საქართველოში ინგლისურენოვანი მასწავლებლების ჩამოყვანის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს კანადურ, ამერიკულ და ბრიტანულ ორგანიზაციებთან.

პროექტის ფარგლებში, საქართველოში ჩამოსული მოხალისე მასწავლებლები სპეციალურად ამ პროგრამისთვის არიან შერჩეული. პედაგოგებს შესაბამისი კვალიფიკაცია და მსგავს საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება აქვთ.

პროექტი „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“, უკვე მეორე წელია, წარმატებით მიმდინარეობს. ინგლისურენოვანი მოხალისე პედაგოგები, ადგილობრივ პედაგოგებთან ერთად, მთელი საქართველოს მასშტაბით, მოსწავლეებს ინგლისურს გაძლიერებულად ასწავლიან.

2012 წლის ბოლომდე, საქართველოში, 1500 მოხალისე პედაგოგის ჩამოყვანა იგეგმება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, ახალი პროგრამა „პროფესიული გადამზადებისა და პროფესიული ორიენტაციის ტრენინგები“ ამოქმედდება, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს მასშტაბით, 20 ქალაქში, ერთდროულად, 20 000 ადამიანს ჩაუტარდება უფასო ტრენინგები. პროგრამის მონაწილეები ინგლისურ ენაში, კომპიუტერულ უნარ-ჩვევებსა და პროფესიულ ორიენტაციაში გადამზადდებიან. პროექტი ახალ გზებს უხსნის 25 წლის და ზევით ადამიანებს – გაიღრმავონ ცოდნა და მოემზადონ მომავალი დასაქმებისთვის.

ტრენინგები 2012 წლის 15 სექტემბერს დაიწყება და 15 ნოემბერს დასრულდება. მსურველებისთვის პროგრამაზე რეგისტრაცია 2012 წლის 10 აგვისტოს დაიწყება და ერთი თვის განმავლობაში – 10 სექტემბრამდე გაგრძელდება, რეგისტრაციისთვის საჭირო იქნება მხოლოდ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა.

პროფესიული გადამზადებისა და პროფესიული ორიენტაციის ტრენინგების ცენტრები შემდეგ ქალაქებში გაიხსნება: რუსთავი, თელავი, გურჯაანი, გორი, ხაშური, ბორჯომი, ახალციხე, ახალქალაქი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედიი, ჭყიბუჯი, ონი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი, ოზურგეთი, მესტია.

სამუშაო ბაზარზე არსებული კონკურენციის პირობებში საჭიროა, დაუსაქმებელ ადამიანს ჰქონდეს ის უნარ-ჩვევები, რომელიც დაეხმარება საკუთარი თავის პრეზენტაციაში დამსაქმებლის წინაშე. ასევე, აღჭურვილი იყოს იმ უნარებით, რომელიც მას გაუადვილებს გზას დამსაქმებლამდე, დაეხმარება ამ გზების მოძიებაში და საბოლოო მიზნის მიღწევაში. გარდა პროფესიისა, მას სჭირდება ახალი ტექნოლოგიების, კერძოდ, კომპიუტერული უნარ-ჩვევებისა და ინგლისური ენის საბაზისო ცოდნა.

ტრენინგები მონაწილეებს დაეხმარება: აღმოაჩინონ საკუთარი ძლიერი მხარეები; როგორ დაგეგმონ კარიერა; როგორ სრულყონ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ დამსაქმებლის წინაშე წარსადგენად სჭირდებათ. ტრენინგები მიზნის მიღწევაში იმ ადამიანებსაც დაეხმარება, ვისაც სურთ წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი, ისინი შეძლებენ: შეიმუშაონ ბიზნესიდეა, აირჩიონ ბიზნესის სახეობა, შეადგინონ ბიზნესგეგმა, გაიზიარონ მცირე ბიზნესის მართვის პრინციპები, ისწავლონ ფინანსების მოძიების ხერხები, შექმნან საკუთარი სამეწარმეო ორგანიზაცია და უზრუნველყონ საქმიანობის წლების განმავლობაში, რეგიონის მოსახლეობის დიდ ნაწილს, სასწავლო ცენტრებისა და ინტერნეტიზაციის არარსებობის, ასევე განუვითარებელი ინფრასტრუქტურისა და

არასაკმარისი სამუშაო ადგილების გამო, არ მიეცა ზემოთ აღნიშნული უნარების განვითარების საშუალება. მას შემდეგ, რაც ინფრასტრუქტურა განვითარდა, შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები და დამსაქმებლებს გაუჩნდათ კვალიფიციური კადრების პრობლემა.

პროექტი ხელს შეუწყობს რეგიონების გაძლიერებას. შეიქმნება კონკურენტული სამუშაო ძალა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე ადგილობრივი ბიზნესის მდგრადობას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. აღნიშნული სამუშაო ძალა გახდება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი და მდგრადობის გარანტია რეგიონის სტრუქტურებისთვის.

„კავკასიის უნივერსიტეტი“ 34 საჯარო და კერძო სკოლასთან თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი. მემორანდუმის ფარგლებში, „კავკასიის უნივერსიტეტი“ უზრუნველყოფს სკოლის პედაგოგთა სასერტიფიკატო კურსების (უცხო ენებში, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და მათემატიკაში) ორგანიზებას და დაეხმარება სკოლებს ვებგვერდების შექმნასა თუ სრულყოფაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დიმიტრი შაშკინის განცხადებით, ურთიერთთანამშრომლობა ასევე მოიცავს: სკოლის მოსწავლეებისათვის ლექცია-სემინარების, მასტერკლასების, კონფერენციებისა და ოლიმპიადების გამართვას, სხვადასხვა ტიპის კლუბების ჩამოყალიბებას, კავკასიის სამართლის სკოლის მაგისტრანტების მიერ მოსწავლეებისათვის „სამართლის პრაქტიკული კურსის“ სწავლებას, „იმიტირებული სასამართლო პროცესების“ მომზადებას, ერთობლივი გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებების მოწყობას, „საზაფხულო სკოლებში“ მოსწავლეთა ჩართულობას, სასკოლო და საუნივერსიტეტო თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობას და ა.შ.

„კავკასიის უნივერსიტეტი“ 2005 წელს, „კავკასიის ბიზნესის სკოლის“ ბაზაზე დაფუძნდა. „ბიზნესის სკოლის“ გარდა, ის ამჟამად კიდევ ექვს – სამართლის, მედიის, ტექნოლოგიების, სახელმწიფო მართვის, ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ტურიზმის სკოლებს აერთიანებს.

დაიწყო საჯარო სკოლის დირექტორების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია.

შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მსურველთა ელექტრონული Online რეგისტრაცია 9 თებერვალს დაიწყო და 9 მარტის ჩათვლით გასტანს. ელექტრონული რეგისტრაცია პირველად გასულ წელს ჩატარდა. მიმდინარე წელსაც რეგისტრაციის გავლა მხოლოდ ელექტრონულადაა შესაძლებელი.



ლი სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.tpdc.ge).

კონკურსში მონაწილეობის მიღება უმაღლესი განათლების მქონე ნებისმიერ პირს შეუძლია. გამოცდა 2012 წლის აპრილში ორ ეტაპად ჩატარდება. პირველ ეტაპზე, დირექტორობის მსურველი გაივლის ინდივიდუალურ ტესტირებას სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით. მეორე ეტაპზე, გასაუბრებაზე, დაიშვებიან პირები, რომლებიც გადალახავენ ტესტირებისთვის დადგენილ მინიმალურ ზღვარს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დიმიტრი შაშკინის განცხადებით, შესარჩევ კონკურსის მიზანია, გამოავლინოს პროფესიონალი კადრები, რომლებიც აკმაყოფილებენ დირექტორის სტანდარტის მოთხოვნებს და შეძლებენ უზრუნველყოფონ საჯარო სკოლის უწყვეტი განვითარება და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირება.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „მომავლის კლასი“ ამჯერად, ახალციხის მეხუთე საჯარო სკოლაში გახსნა. „მომავლის კლასი“ ულტრათანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი, კლასში დამონტაჟებულია ინტერაქტიული „ჭკვიანი დაფა“ და სენსორული მონიტორები, რომელთა გამოყენებით მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ ჩაატარონ ინტერაქტიული გაკვეთილები, ხოლო სპეციალური მონიტორები სასწავლო პროცესში მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართულობას უზრუნველყოფს.

„მომავლის კლასში“ მასწავლებელს საშუალება აქვს მონიტორის საშუალებით თვალყურს ადევნოს მოსწავლეების მუშაობას, საჭიროების შემთხვევაში გაუწიოს მათ დახმარება, გაუგზავნოს კომენტარი და მისცეს რჩევები.

– მრავალფუნქციურ საკლასო ოთახში შესაძლებელია ჩატარდეს: ინგლისურის, ქართულის, ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, გეოგრაფიის, გეომეტრიის გაკვეთილები;

– სხვადასხვა საგნების სწავლების გამოყენებულ იქნეს ვირტუალური ლაბორატორიები და სასწავლო „იარაღები“ (სახაზავი, ტრანსპორტირი, ფარგალი და სხვადასხვა ფიგურების ასაგები ხელსაწყოები);

– მოსწავლეებს საშუალება აქვთ შეინახონ და შემდგომ გამოიყენონ ჩატარებული გაკვეთილების ელექტრონული ვერსიები;

– კლასში შესაძლებელია ახალი მასალის ეფექტური პრეზენტაცია, კლასს გააჩნია მაღალი ხარისხის ვიზუალიზაცია და აუდიოსისტემა.

„მომავლის კლასი“ ახალციხეში კომპანია „ალგორითმის“ მიერ არის მოწყობილი და აღჭურვილი. „მომავლის კლასის“ წინ მოსწავლეებს ხვდებათ ვირტუალური მასწავლებელი, რომელიც აცნობს კლასის უნიკალურ თვისებებსა და ფუნქციებს.



საქართველოს რამდენიმე საჯარო სკოლაში დიდი წარმატებით ფუნქციონირებს და 2012 წლის ბოლომდე ყველა დიდ ქალაქში, ეტაპობრივად, გაიხსნება ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი ულტრათანამედროვე კლასი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სულ ასი მრავალფუნქციური „მომავლის კლასის“ გახსნას აპირებს.

ახალციხის №5 სკოლა წლის საუკეთესო საჯარო სკოლად დასახელდა. ეს სასწავლებელი ყველაზე მრავალრიცხოვანია ახალციხეში, პედაგოგები და მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა პროექტებსა და პროგრამებში, მოსწავლეები გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით. დიდი ყურადღება ეთმობა სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, თანამედროვე აღჭურვას. საკუთარი თანხების მობილიზებით სკოლაში არაერთი სარეაბილიტაციო საქმიანობა განხორციელდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ინგლისური ენის მასწავლებლებმა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები ინგლისში გაიარეს.

ორი კვირის განმავლობაში მასწავლებლებთან, თითოეული მიმართულების მიხედვით, სხვადასხვა პედაგოგი მუშაობდა. გადამზადებას გადიოდნენ: ენის სწავლების მეთოდებში, გრამატიკასა და წარმოთქმაში, სხვადასხვა სიტუაციის ტესტებზე მუშაობასა და დიალოგების წარმართვაში. თითოეული ლექციის შემდეგ კი, ისინი აღნიშნულ საკითხებზე პრეზენტაციებს აწარმოებდნენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ინგლისში, ქალაქ ნოთინგჰემში, სულ, ინგლისური ენის 19 მასწავლებელი გაემგზავრა. კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსს ისინი New College Nottingham-ში გადიოდნენ. თითოეულმა მათგანმა, ტრენინგის დასრულების შემდეგ, შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი აიღო.

მასწავლებლები, რომლებმაც გადამზადება ინგლისში გაიარეს, ტრენინგებს თბილისში ჩაატარებენ და საკუთარ გამოცდილებას კოლეგებს გაუზიარებენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი New College Nottingham-თან უკვე რამდენიმე წელია თანამშრომლობს. მასწავლებლების შერჩევა ტრენინგებზე აქტიურობისა და საგაკვეთილო პროცესში მიღწეული წარმატებების მიხედვით ხდება. მათი გაგზავნა დიდ ბრიტანეთში მომავალშიც განხორციელდება.



ქართველი მწერლები


- ❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომიანი), I-IV ტომი, - 11 ლარი
- ❖ ალექსანდრე ყაზვბეგი (2-ტომიანი), I-II ტომი, - 11 ლარი
- ❖ მინაილ ჯავახიშვილი (7-ტომიანი), I-VII ტომი - 11 ლარი
- ❖ ლევან გომთუა (7-ტომიანი), I-II ტომი - 16 ლარი
- ❖ ელიზბერ ყიფიანი (2-ტომიანი), I-II ტომი - 15 ლარი
- ❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომიანი), I, II, III, VI, VII, VIII ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ ვახტანგ ჭაღლიძე (9-ტომიანი), I-IV ტომი - 12 ლარი
- ❖ ბრიგოლ აბაშიძე (6-ტომიანი), I-II ტომი - 12 ლარი
- ❖ ოტიან იოსელიანი (10-ტომიანი), I-IX ტომი - 12 ლარი
- ❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომიანი), I-VI ტომი - 10 ლარი
- ❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომიანი), I-IV ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

გამომცემლობა „აქალი განათლება“ და გაზეთ „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი

სელმომწერთა საყურადღებოდ!
თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ „დიოგენეს“ შემოთავაზებით და გააფორმოთ სელმონწერა.

გამომწერეთ წიგნები და მიიღეთ სპეციალური ფასად



საყმანვილო ენციკლოპედია „მუსიკა“

~~29.90~~

17 ლარი



საყმანვილო ენციკლოპედია „სპორტი“

~~29.90~~

10 ლარი

პირველად საქართველოში!

მოსწავლეებისა და პედაგოგების სამაგიდო წიგნი თამარ ბეროზაშვილი „ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

~~14.90~~

10 ლარი



„ახალი განათლება“ წიგნის თანად

მიმდინარეობს სელმონწერა

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური სელმონწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე:

295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

სელმონწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE93LB0113314052305000

შედეგები



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია ~~45~~ 35 ლარი
საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია ~~30~~ 26 ლარი
სელმონწერის ილუსტრირებული ისტორია ~~40~~ 30 ლარი

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

ერთი ტომი - 12 ლარი



- გუსტავ ფლობერი - მაღამ გოვარი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ქალთა ბედნიერება
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - მონტესუმას ასული
- სტენდალი - წითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - სამი მიგობარი
- შოდერლო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები **ახალი**
- შტეფან ცვაიგი - მოუთმელოება გულისა **ახალი**
- მაინ რიდი - კვარტარონი **ახალი**

„რა არის რა“ ერთი ტომი - 11 ლარი



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტაბალაშვილის №3 ტელ.: 295 80 23, 8790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის რეკვიზიტები: საბარტველოს ბანკი ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა GE 86 BG 000000 123631000 GEL

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი სელმონწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.